е) геолого-технические работы и экспертизы по приглашению учреждений и частных лиц в целях расширения сведений о геологическом строении и минеральных рессурсах ССРГ;

ж) оборудование музея ископаемого сырья и химической лаборатории, а также пополнение геологических инструментов и библиотеки Горного Отдела изданиями геологического характера;

з) выдача справок учреждениям и горнопромышленникам с ведома и разрешения Начальника Горного Отдела, а в подлежащих случаях Президиума ВСНХ ССРГ.

### III Раздел.

### *Структура и штаты Горного Отдела.*

§ 14. Структура и штаты Горного Отдела устанавливаются Президиумом ВСНХ ССРГ, по соглашению с Горным Отделом ГЭУ ВСНХ СССР, и утверждаются СНК ССРГ.

### IV Раздел.

### *Финансирование.*

§ 15. Горному Отделу все необходимые средства отпускаются по смете ВСНХ ССР Грузии.

Распубликовано в г. „Заря Востока" № 1324 от 10 ноября 1926 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 13. სამთო კვლევისა და ძიების ქვეგანყოფილების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) გეოლოგიურ-ტეხნიკური გამოკვლევების წარმოება;

ბ) საერთო ხელმძღვანელობის გაწევა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სამთო სამრეწველო შენაერთებისა და ცალკე საწარმოთა მიერ წარმოებული სამთო ძიებისათვის;

გ) დეტალური ძიების წარმოება, გეოლოგიური მასალების დამუშავებით, წიაღისეულის ახალი საბადოების მარაგის გამოსარკვევად და ექსპლოატაციისათვის მოსამზადებლად;

დ) წარმოებული მუშაობის მასალებისა, გეოლოგიური მიმოხილვებისა და სხვად სხვა ცნობების და ჯუმლების დაბეჭდვისა და გამოცემის საკითხები;

ე) შედგენა ყოველწლიური გეოლოგიურ-საძიებლო სამუშაოს პროგრამისა და ხარჯთ-აღრიცხვისა, რაც სათანადო წესით უნდა იქნეს დამტკიცებული;

ვ) გეოლოგიურ ტეხნიკური სამუშაოს და ექსპერტიზის წარმოება დაწესებულებათა და კერძო პირთა მოწვევით, საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულობისა და მინერალურ რესსურსების შესახებ ცნობების გაფართოებისათვის;

ზ) დაუმუშავებელ წიაღისეულის მუზეუმისა და ქიმიურ ლაბორატორიის მოწყობა და, აგრეთვე, გეოლოგიური იარაღების შეძენა და სამთო განყოფილების წიგნთ-საცავის შევსება გეოლოგიური ხასიათის გამოცემებით;

თ) ცნობების მიცემა დაწესებულებათა და სამთო მრეწველთათვის სამთო განყოფილების უფროსის, ხოლო სათანადო შემთხვევაში საქართველოს სსრ სმუს პრეზიდიუმის ნებართვით.

## კ ა რ ი 3.

### სამთო განყოფილების სტრუქტურა და შტატები.

§ 14. სამთო განყოფილების სტრუქტურას და შტატებს დააწესებს საქართველოს სმუს პრეზიდიუმი, სსრკ სმუს მთავარ ეკონომიურ სამმართველოს სამთო განყოფილებასთან შეთანხმებით, და დაამტკიცებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა რ ი 4.

**სამთო განყოფილების ფინანსიურად შენახვა.**

§ 15. სამთო განყოფილება ყველა საჭირო სახსარს მიიღებს საქართველოს სსრ სმუს-ის ხარჯთაღრიცხვით.

გამოქვეყნებულია გ. „ზარია ვოსტოკა“-ს მე-1324 №-ში 1926 წ. ნოემბ. 10.

---

## 109. დადგენილება № 65

**სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლისათვის მე 2 შენიშვნის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

**შენიშვნა 2.** სააქციონერო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა), რომელშიაც მოთავსებულია მარტოოდენ სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი, ეთანაბრება სახელმწიფო საწარმოს მით, რომ მისი პრეტენზია იმავე რიგობით უნდა იქნეს მოვალეთა ქონებიდან დაკმაყოფილებული, როგორც სახელმწიფო საწარმოს პრეტენზია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს თოდრია.**

1926 წ. სექტემბრის 22.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს მე-1314 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 29.

## 109. Постановление № 65

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С.С.Р. Грузии**

**О дополнении ст. 266 Гражданского Процессуального Кодкса примечанием 2.**

В порядке ст. 2 Постановления 2-ой сессии II-го Созыва Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета советов от 10 марта 1924 г. за № 77, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляют:

Ст. 266 Гражданского Процессуального Кодекса дополнить примечанием 2-м нижеследующего содержания:

*Примечание 2.* Акционерные Общества (паевые товарищества) с исключительным участием государственного и кооперативного капитала приравниваются к государственным предприятиям, в отношении очередности удовлетворения их претензий из имущества должников.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. сентября 22.
Тифлис—Дворец.

*Распубликовано* в г. „Заря Востока“ № 1314 от 29 октября 1926 года.

## 110. დადგენილება № 66

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. ს ბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების თაობაზე 28 №-ით გამოცემული დეკრეტის მე-V თავის შეცვლის შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის აპრილის 28 თარიღითა და 28 № ით გამოცემული დეკრეტის მე-V თავის (მუხ. 142—143) შესაცვლელად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ „მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“ 1921 წლ. აპრილის 28-ს თარიღითა და 28 № ით გამოცემული დეკრეტის მე V თავი „შვილად აყვანის თაობაზე“ (მუხ. 142—143) შეიცვალოს შემდეგნაირად:

### თავი მე-V. შვილად აყვანა.

მუხ. 142. შვილად შეიძლება აყვანილ იქნეს მხოლოდ მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი და ისიც მარტოოდენ მათი ინტერესების დაცვის მიზნით.

მუხ. 143. შვილად აყვანის უფლება არა აქვს: ა) იმას, ვისაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ჩამორთმეული აქვს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება; ბ) იმას, ვისაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს მშობელთა უფლებები; გ) იმას, ვისი ინტერესებიც ეწინააღმდეგება შვილად ასაყვანის ინტერესებს ან და ვინც უკანასკნელთან მტრულ განწყობილებაშია; დ) არასრულწლოვანს.

მუხ. 143[1]. შვილად აყვანა მოხდება სამეურვეო და სამზრუნველო ორგანოს

## 110. Постановление № 66

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С. С. Р. Грузии**

**Об изменении главы V декрета № 28 Ревкома Грузии об актах гражданского состояния.**

Во изменение главы V (ст.ст. 142—143) декрета Ремкома ССР Грузии от 28 апреля 1921 года за № 28 Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляют:

Главу V декрета Ревкома Грузии 1921 г. № 28 об актах гражданского состояния „Об усыновлении“ (ст.ст. 142—143) заменить гл. V следующего содержания:

### *Глава V-ая—Усыновление.*

Ст. 142. Усыновление допускается только в отношении малолетних и несовершеннолетних и исключительно в интересах детей.

Ст. 143. Не имеют права усыновить лица: а) лишенные, согласно Конституции ССР Грузии, активного и пассивного избирательного права; б) лишенные родительских прав по суду; в) интересы которых противоположны интересам усыновляемых, а равно находящиеся во враждебных с ними отношениях; г) несовершеннолетние.

Ст. 143[1]. Усыновление производится постановлением органа опеки и попечительства и подлежит регистрации в общем порядке в органах записей актов гражданского состояния, которым для этой цели препровождается копия означенного постановления.

Ст. 143[2]. При усыновлении усыновленному могут быть присвоены как фамилия усыновителя, так и отчество, по имени последнего.

Ст. 143[3]. При наличности родителей усыновляемого или в случае нахождения его под опекой или под попечительством для усыновления

დადგენილებით და რეგისტრაციაში გატარდება საერთო წესისამებრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში, რომელსაც ამისათვის გაეგზავნება აღნიშნული დადგენილების ასლი.

მუხ. $143^{2}$. შვილად აყვანისას შვილად აყვანილს შეიძლება მიეცეს როგორც შვილად აყვანილის გვარი, ისე მამის სახელად ამ უკანასკნელის სახელი.

მუხ. $143^{3}$. უკეთუ შვილად ასაყვანის მშობლები ცოცხალნი არიან ან და შვილად ასაყვანი მეურვეობისა ან მზრუნველობის ქვეშ იმყოფება, შვილად აყვანისათვის საჭიროა მშობლებისა, მეურვისა ან მზრუნველის თანხმობა.

მუხ. $143^{4}$. უკეთუ შვილად ამყვანელი დაქორწინებულია, შვილად აყვან სათვის საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.

მუხ. $143^{5}$. შვილად აყვანა იმ ბავშვისა, რომელსაც უკვე ათი წელი შეუსრულდა შეიძლება მხოლოდ მისი თა ხმობით.

მუხ. $143^{6}$. შვილად აყვან ლი და მისი შთამომავლობა შვილად ამყვანლის მიმართ და შვილად ამყვანელი შვილად აყვანილისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობის სფეროში ღვიძლ ნათესავებს ეთანხმებიან.

**შენიშვნა.** ამა მუხლის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ პირზე, რომელიც ამა დადგენილების ძალაში შესვლამდე შვილად იყო აყვან ლი ან მიღებული იყო შვილობილად და ჩასიძებულად.

მუხ. $143^{7}$. სარჩელი შვილად აყვანის გაუქმების შესახებ შეუძლიან სასამართლოს წესით აღძრას ყოველ პირს ან დაწესებულებას, უკეთუ შვილად აყვანის დროს დარღვეული იყო ეს დადგენილება ან და უკეთუ ამას მოითხოვს ბავშვის ინტერესი.

მუხ. $143^{8}$. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე 40 მუხლში გათვალისწინებული ჩასიძებულად გარეშე პირის მიღება საოჯახო-

требуется согласие родителей, опекунов или попечителей.

Ст. $143^{4}$. При усыновлении кого либо лицом, состоящим в браке, требуется согласие другого супруга.

Ст. $143^{5}$. Усыновление детей, достигших 10-летнего возраста, без их согласия не допускается.

Ст. $143^{6}$. Усыновленные и их потомство по отношению к усыновителям и усыновители по отношению к усыновленным и их потомству в личных и имущественных правах и обязанностях приравниваются к родственникам по происхождению.

*Примечание.* Действие настоящей статьи распространяется на всех лиц, как усыновленных, так являвшихся приемышами и приймаками ко времени вступления в силу настоящего постановления.

Ст. $143^{7}$. В судебном порядке может быть возбужден любым лицом или учреждением иск об отмене усыновления, если оно было совершено с нарушением требований настоящего постановления или если этого требуют интересы ребенка.

Ст. $143^{8}$. Предусмотренное ст. 40 Земельного Кодекса ССР Грузии приймачество в отношении семейно-имущественных прав и обязанностей приравнивается к усыновлению.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров Соц. Сов Респуб. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. сентября 22.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Заря Востока“ № 1312 от 27 октября 1926 г.

ქონებრივ უფლება-მოვალეობის მხრით შვილად აყვანის ეთანაბრება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1926 წ. სექტემბრის 22.
ტფილისი – სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს მე-1312 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 27.

## 111. დადგენილება № 67

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლ. ს. ს. კოდექსისათვის 205[1] მუხლის დამატებისა და იმავე კოდექსის 228[1] მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ით დადგენილების მე 2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოადგენენ:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამ. კოდექსს დაემატოს 205[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 205[1]. ჟენევის საერთაშორისო 1906 წლის კონვენციით დაწესებული საომრო-სასანიტარო სამსახურის ემბლემისა და განსხვავებული ნიშნის („წითელი ჯვარი" და „წითელი ნახევარმთვარე"), აგრეთვე „წითელი ჯვრისა" და „წითელი ნახევარ-მთვარის" სახელ-

## 111. Постановление № 67

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С.С Р. Грузии**

**О дополнении Уголовного Кодекса ССР Грузии ст. 205[1] и об изменении редакции ст. 228[1] того же Кодекса.**

На основании ст. 2 Постановления 2 Сессии II созыва Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов от 10 марта 1924 года за № 77, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляют:

1. Дополнить Уголовный Кодекс ССР Грузии ст. 205[1] следующего содержания:

Ст. 205[1]. Пользование без надлежащего на то права установленными Женевской международной Конвенцией 1906 года эмблемой и отличительным знаком Санитарной службы армии („Красный Крест" и „Красный Полумесяц"), а равно и наименованием „Красного Креста" и „Красного Полумесяца" в коммерческих целях, посредством фабричных и торговых знаков, или вообще для полу-

წოდების გამოყენება სათანადო უფლების გარეშე, კომერციული მიზნისათვის საფაბრიკო და სავაჭრო ნიშნის სახით ან საერთოდ, ამა თუ იმ პირადი სარგებლობის მისაღებად გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ქონების ნაწილის კონფისკაციით ან ჯარიმას 1000 მანეთამდე.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლ. სამ. კოდ. 228¹ მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 228¹. „წითელი და შრომის დროშის" ორდენისა, აგრეთვე „წითელი ჯვრის" და „წითელი ნახევარ-მთვარის" ნიშნის ტარება ისეთი პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არა იქვს, გამოიწვევს

ჯარიმას 100 მანეთამდე ორდენის კონფისკაციით და საზოგადოებრივ გაკიცხვას, რაც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს პრესაში მსჯავრდადებულის ხარჯით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ოქტომბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს მე-1314 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 29.

чения от сего тех или иных личных выгод влечет за собой

лишение свободы на срок до одного года с конфискацией части имущества или штраф до 1000 руб.

2. Ст. 228¹ Уголовного Кодекса ССР Грузии изложить в следующей редакции:

Ст. 228¹. Ношение ордена „Красного и Трудового Знамени", а равно знаков „Красного Креста" и „Красного полумесяца"—лицами, не имеющими на то права, влечет за собой

штраф до ста рублей с конфискацией ордена и общественное порицание, о чем публикуется в печати за счет осужденного.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. октября 10.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Заря Востока" № 1314 от 29 октября 1926 г.

## 112. დადგენილება № 68

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ადგილობრივ ტყავის ქარხნების იჯარით უპირატესად სამრეწველო კოოპერატივებისათვის გადაცემის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შინა-მრეწველთა კოოპერატიულ შე-

## 112. Постановление № 68

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О сдаче в аренду местных кожзаводов преимущественно промысловой кооперации.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

В целях содействия интересам кооперированных кустарей, в случаях

ნაერთთათვის დახმარების გაწევის მიზნით მსხვილი ტყავეულობის გამომქნელი ქარხნების იჯარით გაცემისას უპირატესობა მიენიჭოს სამრეწველო კოოპერაციას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ოქტომბრის 16.

ტფილისი – სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს მე 1314 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 29; გაზ. „კომუნისტი"-ს მე-271 №-ში 1926 წ. ნოემბრის 26.

сдачи в аренду кожевенных заводов под выделку крупных кож, таковые сдавать преимущественно промысловой кооперации.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. октября 16.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Заря Востока" № 1314 от 29 октября 1926 г; в газ. „Коммунист" № 271 от 26 ноября 1926 г.

## 113. დადგენილება № 69

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წარმატებით განხორციელებას.**

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1926 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მოხდენის შესახებ" 1926 წლის სექტემბრის 3-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა და ამიერკავკასიის ცაკის მიერ „1926 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის შესახებ" 1926 წ. სექტემბრის 27-ს გამოცემული დადგენილების შესასრულებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაეკისროს აჭარისტანის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკისა, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ამ უკანასკნელთა ქვემდებარე ორგანოების მეშვეობით, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ საქვემდებარო ტერიტორიაზე მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერას, კერძოდ, უზრუნველყონ აღწერა: საჭირო მომუშავეთა კადრით, სააღწერო მასა-

## 113. Постановление № 69

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О мерах содействия успешному проведению Всесоюзной переписи населения.**

Во исполнение постановления ЦИК и СНК Союза ССР от 3-го сентября 1926 г. о производстве в 1926 году Всесоюзной переписи населения, ЗакЦИК от 27-го сентября 1926 г. о мерах содействия успешному проведению Всесоюзной переписи населения, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. На Центральные Исполнительные Комитеты Автономной Советской Социалистической Республики Аджаристана, Советской Социалистической Республики Абхазии и Автономной Области Юго-Осетии возложить обязанность всемерного содействия, через Советы Народных Комиссаров и подчиненные последним органы, производству всесоюзной переписи населения на подведомственной им территории и, в частности, обеспечения переписи необходимым кадром работников, помещениями для хранения переписных материалов, перевозочными средствами, временными помещениями для командируемых на работы по переписи работников.

ლის შესანახ საჭირო სადგომებით, ზიდვის საშუალებით და სამუშაოდ მივლინებულ მომუშ ვეთათვის საჭირო დროებითი სადგომებით.

2. წინადადება მიეცეს აჭარისტანის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალონ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების თავჯდომარეთ მიიღონ მათ თავიანთ უახლოეს მეთვალყურეობის ქვეშ სრულიად საკავშირო აღწერის მთელი მუშაობა და პირადი განკარგულებით აცილონ ყველა ის დაბრკოლება, რაც ხელს შეუშლის აღწერის წარმატებით და თავის დროზე განხორციელებას.

3. წინადადება მიეცეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთ მიიღონ მათ თავიანთი უახლოეს მეთვალყურეობის ქვეშ სრულიად საკავშირო აღწერის მთელი მუშაობა მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე და პირადი განკარგულებით აცილონ ყველა ის დაბრკოლება, რაც ხელს შეუშლის აღწერის წარმატებით და თავის დროზე განხორციელებას.

4. რათა ყოველი ღონისძიება სასწრაფოთ იქნეს განხორციელებული და ყველა ცალკე უწყებისა და დაწესებულების მოქმედება, რაც-კი აღწერისათვის ხელის შესაწყობად იქნება მიმართული, ერთი-მეორეს შეუკავშირდეს,— საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინადადება ეძლევა მოაწყოს იმ ხნის განმავლობაში მოქმედებისათვის, რაც აღწერა იწარმოებს, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის ხელის შემწყო რესპუბლიკანური კომისია შემდეგი შედგენილობით. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭოს მდივანი და საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მმართველი.

5. ამავე მიზნით აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ დააარსონ იმ ხნის განმავლობაში, რაც აღ-

2. Предложить Центральным Исполнительным Комитетам Автономной Советской Социалистической Республики Аджаристана и Советской Социалистической Республики Абхазии поручить председателям соответственных Советов Народных Комиссаров принять работы по всесоюзной переписи населения под свое ближайшее наблюдение и личным распоряжением устранять все препятствия для успешного и своевременного проведения переписи.

3. Предложить Председателям Центрального Исполнительного Комитета Автономной Области Юго-Осетии и Уездных Исполнительных Комитетов принять работы по всесоюзной переписи населения на подведомственной им территории под свое ближайшее наблюдение и личным распоряжением устранять все препятствия для успешного и своевременного проведения переписи.

4. В целях быстрейшего проведения всех мероприятий и увязки деятельности отдельных ведомств и учреждений по содействию проведению переписи предложить Совету Народных Комиссаров Грузии образовать на время переписи Республиканскую Комиссию содействия по проведению всесоюзной переписи населения в составе Председателя СНК, его Заместителя, НКВДела, СПСГ и управляющего ЦСУ.

5. В этих же целях предложить Центральным Исполнительным Комитетам Абхазии, Аджаристана и Области Юго-Осетии, а также уездным Исполнительным Комитетам образовать на время производства переписи тройки содействия проведению всесоюзной переписи населения в составе: для Абхазии и Аджаристана —Председателя СНК, Секретаря СПС и Управляющего ЦСУ, для Юго-Осетии Председателя ЦИК, представителя профорганизации и заведывающего Статистическим Бюро, а для Уездных Исполнительных Комитетов —Председателя Исполнительного Комитета, секретаря упрофбюро и заведывающего уездным Стат. Бюро.

წერა იწარმოებს, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დამხმარე სამეულები შემდეგი შედგენილობით: აფხაზეთში და აჭარისტანში — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, პროფესიონალური კავშირების საბჭოს მდივანი და სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მმართველი; სამხრეთ-ოსეთის ოლქში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, პროფ-ორგანოების წარმომადგენელი და სტატისტიკური ბიუროს გამგე; სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებისათვის — სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სამაზრო პროფბიუროს მდივანი და სამაზრო სტატბიუროს გამგე.

6. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს, აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრებათ სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ორგანოების მონაწილეობით ჩაატარონ სააგიტაციო კამპანია, რათა მოსახლეობა გაეცნოს სრულიად საკავშირო მოსახლეობის აღწერის მიზანს და მის წარმოების წესს.

7. იმ დაწესებულებათ, რომელთაც აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილები (საპატიმრო, საავადმყოფო, დასასვენებელი სახლი, თავშესაფარი და სხვ.) დაეკისრებათ აღწერა ამ საერთო-საცხოვრებელ ადგილებში მოახდინონ ხსენებულმა დაწესებულებებმა, რისთვისაც ვალდებული არიან თავის მოსამსახურეთა შედგენილობიდან გამოჰყონ საჭირო პერსონალი. ასეთ საერთო საცხოვრებელ ადგილებში აღწერის წესი განისაზღვრება სტატისტიკურ ორგანოების შეთანხმებით სათანადო დაწესებულებასთან.

8. რათა აღწერა უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო მომუშავეთა კადრით, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება ეძლევა მოახდინონ განკარგულება სახალხო განათლების კომისარიატის ქვემდებარე ორგანოების მიმართ, რომ სააღწერო მუშაობაში ჩაბმული მასწავლებელთა პერსონალი განთავისუფლებულ იქნეს თავის პირდაპირ მოვალეობისაგან სააღწერო პერიოდის განმავლობაში 1926 წ. დეკემბრის 15-დან დეკემბრის 31-მდე.

ამავე მიზნით ყველა დაწესებულება ვალდებულია გაანთავისუფლოს სტატის-

6. Поручить Совету Народных Комиссаров Грузии, Центральным Исполнительным Комитетам Абхазии, Аджаристана и Юго Осетии и уездным Исполнительным Комитетам провести при участии органов ЦСУ агитационную кампанию по подготовке и ознакомлению населения с целями и задачами всесоюзной переписи населения и с порядком ее проведения.

7. Возложить на обязанность учреждений, имеющих общежития (места заключения, больницы, дома отдыха, приюты и т. п.), производство переписи в этих общежитиях, для каковой цели упомянутые учреждения выделяют необходимый персонал из состава своих служащих. Порядок переписи в таких общежитиях устанавливается по соглашению органов Статистики с соответствующими учреждениями.

8. В целях обеспечения переписи необходимым кадром работников предложить Совету Народных Комиссаров Грузии и Центральным Исполнительным Комитетам Абхазии, Аджаристана и Юго-Осетии сделать распоряжение по подведомственным Наркомпросам органам о том, чтобы учительский персонал, привлекаемый к работе по переписи был освобожден от непосредственных обязанностей в период производства переписи на срок с 15-го по 31-е декабря 1926 года. В этих же целях обязать все учреждения освобождать на время производства переписи всех привлеченных органами статистики к переписи служащих, имеющих статистический опыт и из'явивших желание участвовать в переписи населения.

9. Кредиты по переписи должны быть открыты как в центре, так и по республикам вне очереди и в сроки по расписанию ЦСУ СССР.

Предложить Совету Народных Комиссаров Грузии обязать НКФ ССР Грузии принять своевременные меры к подкреплению местных казначейств (уездных) достаточными денежными средствами для нужд переписи. Одновременно должно быть сделано распоряжение УФО о незамедлительном производстве расчетов на местах и о

ტიკურ ორგანოების მიერ გაწვეული ყველა მოსამსახურე, რომელსაც აქვს სასტატისტიკო გამოცდილება და რომელმაც გამოსთქვა სურვილი მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობა მიიღოს.

9. სააღწერო კრედიტები, როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში უნდა გაიხსნას რიგს გარეშე და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს გაჰრიგებით გათვალისწინებულ ვადებზე.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინადადება ეძლევა ვალდებულ ჰყოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი—მიიღოს მან თავის დროზე სათანადო ღონისძიება, რათა ადგილობრივ (სამაზრო) ხაზინებს საკმაო ფულადი სახსარი ჰქონდეთ აღწერის საჭიროებისათვის. ამასთანავე ერთად წინადადება უნდა მისცეთ სამაზრო საფინანსო განყოფილებათ—დაუყონებლივ გაასწორონ ხოლმე ანგარიშები და საღწერო სახსარი სხვა საჭიროებაზე არ იხარჯებოდეს.

10. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და მასში შემავალ რესპუბლიკების და ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქე ვალდებულია მისცეს აღწერის რეგისტრატორს ნამდვილი ცნობა ყველა საღწერო კითხვის გამო. ის, ვინც თავს აარიდებს ცნობების მიცემას, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული მთავრობის განკარგულების შეუსრულებლობისათვის.

11. საღწერო ფორმულიარში აღნიშნულ კითხვებზე მისაცემი პასუხის გამოყენება სხვა რაიმე მიზნისათვის გარდა იმისა, რაც საჭიროა სტატისტიკური ცხრილების შესადგენად,—აკრძალულია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ივლისის 29.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-238 № ში 1926 წ. ოქტომბრის 19; გაზ. „ზარია ვასტოკა"-ს მე-1304 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 17.

том, чтобы средства переписи не обращались на другие нужды.

10. Обязать всех граждан, проживающих на территории ССРГ со входящими в нее республиками и областью давать регистраторам переписи точные сведения по всем вопросам переписи. Уклонившихся от дачи сведений привлекать к ответственности за неисполнение распоряжений правительства.

11. Воспретить использование ответов граждан на вопросы, поставленные в формулярах переписи, для каких бы то ни было целей, кроме составления статистических таблиц.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. октября 15.
Тифлис-Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 238 от 19 октября 1926 г.; в г. „Заря Востока" № 1304 от 17 октября 1926 г.

## 114. დადგენილება № 70

### სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

### მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულება დამტკიცებულ იქნეს და სამოქმედოდ შემოღებული მთლად საქართველოს სსრ-სა, აფხაზეთის სსრ-სა, ავტონომიური აჭარისტანის სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

2. აფხაზეთის სსრ-სა, ავტონომიური აჭარისტანის სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება მიეცეს „მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების“ საფუძველზე გამოსცენ ამა დებულების განსავითარებლად და ადგილობრივი პირობებისათვის შესათანხმებლად, სათანადო საკანონმდებლო აქტები; ამასთანავე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ხსენებული საკითხის თაობაზე გამოცემული დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. საქართველოს სსრ რევოლიუციონური კომიტეტის 1922 წლის იანვრის 20-ს თარიღისა და 89 №-რის დეკრეტი „მუშათა და გლეხთა მილიციის შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

4. მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს წარმოუდგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს პროექტი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დებულების სათანადოდ შეცვლისა და დამატებისა და აგრეთვე იმ დეკრეტებისა და დადგენილებების სია, რაც საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების სამოქ-

## 114. Постановление № 70

### Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров ССР Грузии

### Об утверждении и введении в действие Положения о Рабоче-Крестьянской Красной Милиции ССР Грузии.

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляют:

1. Положение о Рабоче-Крестьянской Красной Милиции ССР Грузии утвердить и ввести в действие на территории ССР Грузии, ССР Абхазии, АССР Аджаристана и Автономной Области Южной Осетии.

2. Центральным Исполнительным Комитетам ССР Абхазии, АССР Аджаристана и Автономной Области Южной Осетии предоставить право на основах „Положения о Рабоче-Крестьянской Красной Милиции“ издавать в развитие указанного Положения и в целях приспособления его к местным особенностям соответствующие законодательные акты, при чем изданные по этому вопросу постановления Центрального Исполнительного Комитета Автономной Области Южной Осетии подлежат последующему утверждению Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов.

3. Декрет Революционного Комитета ССР Грузии за № 89 от 20 января 1922 года „о рабоче-крестьянской милиции“ отменить.

4. Поручить Народному Комиссару Внутренних Дел представить на утверждение Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов проект постановления о соответствующих изменениях и дополнениях Положения о Народном Комиссариате Внутренних Дел, а также список декретов и постановлений, подлежащих отмене в связи с введением в действие Положения о Рабо-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედოდ შემოღებასთან დაკავშირებით გაუქმებულ უნდა იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ოქტომბრის 25.
ტფილისი—სასახლე.

## დებულება

**საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისა.**

### 1. ზოგადი დებულებანი.

1. მუშათა და გლეხთა წითელი მილიცია შეიარაღებული ადმინისტრატიულ-აღმასრულებელი ორგანოა და იმყოფება საქართველოს სს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

2. მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მიზანს შეადგენს — დაიცვას რევოლიუციონური წესრიგი და სახალხო დოვლათი და ებრძოლოს მათ წინააღმდეგ მიმართულ ხელყოფას.

3. შინა და გარე სამსახურისა და აგრეთვე დისციპლინის სფეროში მილიციის თანამშრომელი უთანასწორდება სამხედრო მსახურს და ექვემდებარება მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დისციპლინარულ და შინასამსახურის წესდებათა მოქმედებას.

4. მილიციის პირადი შედგენილობა შეივსება ნებაყოფლობითი დაქირავებით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში —მობილიზაციითაც, რომლის წესს განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილების თანახმად.

5. მობილიზაციის გამოცხადების დღიდან სამხედრო მოქმედების დამთავრებამდე მილიციის თანამშრომლები ითვლებიან მილიციაზე მიმკვიდრებუ-

че-Крестьянской Милиции ССР Грузии.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Сов. Нар. Комиссаров С. С. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. октября 25.
Тифлис—Дворец.

## ПОЛОЖЕНИЕ

**О Рабоче-Крестьянской Красной Милиции ССР Грузии.**

### *I. Общие положения.*

1. Рабоче-Крестьянская Красная Милиция есть вооруженный административно-исполнительный орган, находящийся в ведении Народного Комиссариата Внутренних Дел ССР Грузии.

2. В задачу Рабоче-Крестьянской Милиции, входит охрана революционного порядка, народного достояния и борьба с посягательством на него.

3. В отношении правил внутренней и наружной службы, а также дисциплины работники Милиции приравниваются к военнослужащим, подчиняясь действию Уставов дисциплинарного и внутренней службы Рабоче-Крестьянской Милиции.

4. Укомплектование милиции производится путем добровольного найма и в исключительных случаях путем мобилизации, порядок коей определяется Народным Комиссариатом Внутренних Дел согласно особого постановления Центрального Исполнительного Комитета ССР Грузии.

5. С об'явлением мобилизации и до окончания военных действий работники Милиции считаются закрепленными за последней и не могут самовольно оставить службу в Милиции, хотя-бы истек срок их пребывания на службе, предусмотренный в ст. 46 настоящего положения. Отсрочка по призыву работникам Милиции предо-

ლად და არ შეუძლიანთ თავის ნებით დასტოონ სამსახური მილიციაში, თუნდაც გავიდეს სავალდებულო სამსახურის ვადა, რაც გათვალისწინებულია ამ დებულების 46 მუხლით. ჯარში გაწვევის ვადის გადადება მილიციის თანამშრომლებს შეეფარდებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის 161—166 მუხლების წესისამებრ.

6. მილიციის სამწყობრო შედგენილობისათვის შემოღებულია სავალდებულო სამხედრო მეცადინეობა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო წესდების მიხედვით,

7. მილიციის თანამშრომელს სამუშაო ხელფასი სატარიფო განაკვეთის მიხედვით ეძლევა.

8. სამაზრო და საქალაქო მილიცია და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ადგილობრივი ორგანოები იმყოფებიან სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯზე და მისგან იღებენ ყოველგვარ კმაყოფას: სამუშაო ხელფასს, ტანისამოსს, იარაღს, ცხენის საკვებს, საკანცელარიო ფულს, საწარვლინებო ფულს და სხვ.

9. მილიციის სამწყობრო შედგენილობისა, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობის და მილიციის საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ატაროს დაწესებული ფორმის ტანისამოსი და ამა თუ იმ თანამდებობისათვის მიკუთვნებული ნიშნები, რაც აღნიშნულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულ ტაბულაში. სამსახურის გარეშე ყოფნის დროს ნებადართულია არაფორმის ტანსაცმელის ჩაცმა.

> **შენიშვნა.** ფორმის ტანისამოსისა და არაფორმის ტანისამოსის ერთმანეთში არევა აკრძალულია.

10. მილიციის თანამშრომელნი განიყოფებიან: მილიციის სამწყობრო შედგენილობად, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიურ შედგენილობად და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობად.

11. სამწყობრო შედგენილობას ეკუთვნის: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი, იგივე რესპუბლიკის მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე, რესპუბლიკის მილიციის ინსპექტორი, მილიციის საკომანდო შედგენილობის

ставляется на основаниях и в порядке ст.ст. 161—166 закона об обязательной военной службе.

6. Для строевого состава Милиции вводится обязательное военное обучение, применительно к воинским уставам РККА.

7. Удовлетворение сотрудников Милиции заработной платой производится по тарифным ставкам.

8. Уездно-городская Милиция и местные органы Уголовного Розыска содержатся за счет соответствующих уездных и городских Исполнительных Комитетов, от которых получают все виды довольствия: зарплату, обмундирование, снаряжение, фураж для лошадей, канцелярские расходы, командировочные и т. д.

9. Все работники строевого состава Милиции, активного состава Уголовного Розыска и Административно-Хозяйственного персонала Милиции носят установленную форменную одежду и присвоенные по должности знаки по табели, выработанной Народным Комиссариатом Внутренних Дел. При нахождении вне службы разрешается ношение неформенной одежды.

> *Примечание*. Смешение форменной одежды с неформенной не допускается.

10. Сотрудники Милиции разделяются на строевой состав Милиции, активный состав Уголовного Розыска и административно-хозяйственный состав Милиции.

11. К строевому составу относятся: Начальник Административного Отдела НКВД, он же Начальник Милиции Республики, его Помощник, Инспектор Милиции Республики, Начальник Школы комсостава Милиции, его помощник, Начальник Административного Отдела Тифлисского Исполкома, он же Начальник Тифлисской Милиции, Начальник Уездно-Городской Милиции, Помощник Начальника Тифлисской Милиции, Инспектор Тифлисской Милиции, Начальник Резервной Школы Тифлисской Милиции, Помощник Начальника Уездно-городской Милиции, Начальник Уездного Резерва (школы), Начальник района

სკოლის უფროსი და მისი თანაშემწე, ტფილისის ალმასკომის ადმინისტრატიუ- ლი განყოფილების უფროსი, იგივე ტფილისის მილიციის უფროსი, სამაზ- რო საქალაქო მილიციის უფროსი, ტფილისის მილიციის უფროსის თანა- შემწე, ტფილისის მილიციის ინსპექტო- რი, ტფილისის მილიციის სამარქაფო სკოლის უფროსი, სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის თანაშემწე, მაზრის სამარქაფო სკოლის უფროსი, ქ. ქ. ტფილისისა, ქუთაისისა და ფოთის რაიმილიციის უფროსი და მისი თანა- შემწე, ქალ. ტფილისის სამარქაფო სკო- ლის უფროსის თანაშემწე, მაზრის რაი- მილიციის უფროსი, საკომანდო შედგე- ნილობის სკოლის ასეულის უფროსი, საკომანდო შედგენილობის ოცეულის უფროსი, საკომანდო შედგენილობის სკოლის ინსტრუქტორი, უფროსი მილი- ციელი, მილიციის სკოლის კურსანტი, განმრიგებელი და უმცროსი მილი- ციელი.

12. სამწყობრო შედგენილობა დაყოფილია მილიციელებად და საკომანდო შედგენილობად. ხოლი ამ უკანასკნელში ითვლება: უმცროსი, საშუალო, უფროსი და უმაღლესი შედგენილობა.

13. უმცროს საკომანდო შედგენილობას ეკუთვნიან: განმრიგებელი, უფროსი მილიციელი და მაზრაში რაიონის მილიციის უფროსის თანაშემწე.

14. საშუალო საკომანდო შედგენილობას ეკუთვნიან: ინსტრუქტორი, ოცეულის უფროსი, მილიციის საკომანდო შედგენილობის სკოლის ასეულის უფროსი, რაიონის მილიციის უფროსი მაზრაში, ქალ. ტფილისისა, ქუთაისისა და ფოთის რაიონების მილიციის უფროსები და მათი თანაშემწეები, მაზრის მარქაფის უფროსი და სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის თანაშემწენი.

15. უფროს საკომანდო შედგენილობას ეკუთვნიან: სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსები, ტფილისის მილიციის უფროსის თანაშემწე, ტფილისის მილიციის ინსპექტორი და ტფილისის მილიციის სამარქაფო სკოლის უფროსი.

16. უმაღლეს საკომანდო შედგენილობას ეკუთვნიან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულო განყოფილების უფროსი, იგივე რესპუბლიკის მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომი-

г.г. Тифлиса, Кутаиса, Поти и его Помощник, Помощник Начальника резервной школы в г. Тифлисе, Начальник района в уезде. Командир роты школы комсостава Милиции, Командир взвода школы комсостава Милиции, Инструктор Школы комсостава Милиции, Старший Милиционер, курсанты Милицейской Школы, разводящий и младший милиционер.

12. Строевой состав подразделяется на милиционеров и командный состав, а последний в свою очередь на младший, средний, старший и высший.

13. К младшему командному составу относятся: разводящий, старший милиционер и Помощник Начальника района Милиции в уезде.

14. К среднему комсоставу относятся: инструктора, командиры взводов, командир роты школы комсостава милиции, Начальник районов в уезде, Начальник и Помощник Начальника района в г г. Тифлисе, Кутаисе и Поти. Начальник уездного резерва и Помощники Начальников Уездно-Городской милиции.

15. К старшему комсоставу относятся: Начальник Уездно-Городской Милиции, Помощник Начальника Тифлисской Милиции, Инспектор Тифлисской Милиции и Начальник резервной школы Тифлисской Милиции.

16. К высшему комсоставу относятся: Начальник Административного Отдела Народного Комиссариата Внутренних Дел, он же Начальник Милиции Республики, Помощник его, Инспектор Милиции при Административном Отделе Народного Комиссариата Внутренних Дел, Начальник Школы комсостава Милиции и его Помощник, Начальник Милиции гор. Тифлиса.

17. К активному составу Уголовного розыска относятся: Начальник Центрального Уголовного Розыска, его Помощник, Инспектор Центрального Угрозыска Административного Отдела НКВД, Уполномоченный, Агент для поручений, Начальник питомника розыскных собак, Начальник П/отдела Уголовного Розыска Административного Отдела Тифлисского Исполкома, его Помощник, Началь-

სარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებასთან განწესებული მილიციის ინსპექტორი, მილიციის საკომანდო შედგენილობის სკოლის უფროსი და მისი თანაშემწე, ქალაქ ტფილისის მილიციის უფროსი.

17. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიური შედგენილობას ეკუთვნიან: ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე, შ ნაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული განყოფილების ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ინსპექტორი, რწმუნებული, დავალებათა აგენტი, მაძებარი ძაღლების საშენის უფროსი, ტფილისის ალმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი და მისი თანაშემწე, მაზრის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამაძიებლო განყოფილების უფროსი, სისხლის სამართლის მილიციის აგენტი, საიდუმლო საგენტურო ნაწილის უფროსი.

18. საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობას ეკუთვნიან: შინ. საქმ. სახ. კომ. ადმინისტრატიული განყოფილების კანცელარიის უფროსი, ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის საქმის მწარმოებელი, რეგისტრაციისა და დაქტილოსკოპიის გამგე, ფოტოგრაფი, ბოროტ-მოქმედთა რეგისტრატორი, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის კომენდანტი და მისი თანაშემწე, სატუსაღოს მეთვალყურე, ტექნიკური ინსტრუქტორი მოსამსახურე და მეძებარი ძაღლებისა, საიდუმლო ნაწილის უფროსი, სამეურნეო ნაწილის გამგე, მაგიდის უფროსი, სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოს მდივანი, რაიმილიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელი, ექსპედიტ., საწყობის გამგე და იარაღის ოსტატი.

**შენიშვნა.** ყველა იმ პირზე, ვინც აღნიშნულია მე-11, 17 და 18 მუხლში გავრცელდება სადისციპლინო წესდება.

19. სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედობისათვის მილიციის თანამშრომლები ექვემდებარებიან საერთო სასამართლო ორგანოებს, ხოლო ზოგიერთი სახის ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში მიიცემიან სამხედრო დანაშაულთა დებულების თანახმად,

ник Отделения Уголовного Розыска уездного Управления Милиции, Агент Уголовного Розыска, Начальник Секретно-Агентурной Части.

18 К Административно-Хозяйственному составу относятся: Начальник канцелярии Административного Отдела НКВД, делопроизводитель Центрального Угрозыска, Зав. регистрацией и дактилоскопией, фотограф, регистратор преступников и преступлений, Комендант Уголовного Розыска, его Помощник, Надсмотрщик Арестного Помещения, Технический Инструктор служебных и розыскных собак, Начальник Секретной части, Начальник Хозяйственной Части Милиции, Столоначальник, Секретарь Уездно Городского Управления Милиции, Делопроизводитель Районного Управления Милиции, Экспедитор, Заведывающий складом и оружейный мастер.

*Примечание.* На всех лиц, указанных в ст.ст. 11, 17 и 18, распространяется Дисциплинарный устав.

**შენიშვნა.** უკეთუ თავისი ნებით სამსახურიდან გამსვლელმა ხელწერილით განსაზღვრული ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არ განაცხადა, რომ სამსახურს სტოვებს, იგი შეიძლება დატოვებულ იქნეს სამსახურში მოადგილის გამოჩენამდე’ ხოლო არა უმეტეს ერთი თვისა.

65. მილიციის თანამშრომლის დათხოვნა, მიუხედავად მისი სურვილისა, მოხდება ადგილკომისათვის შემდგომი შეტყობინებით და შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. მე-2 და 3 შენიშვნის მოთხოვნის დაცვით, იმ უფროსის მიერ, რომელმაც დანიშნა იგი:

ა) იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ.;

ბ) ამა დებულების 58 მუხლის წესისამებრ;

в) в аттестационном порядке, в соответствии с инструкцией, предусмотренной ст. 41 Настоящего Положения;

г) по неспособности нести службу, согласно постановления о том врачебной Комиссии.

*Примечание.* Работники милиции при увольнении в случаях, указанных в п.п. „в“ и „г“ ст. 47 Кодекса Законов о Труде, а также п.п. „б“, „в“ и „г“ настоящей статьи, увольняются распоряжением соответствующих Начальников с последующим уведомлением Месткома; во всех остальных случаях увольняются с соблюдением п. „в“ ст. 161 Кодекса Законов о Труде.

66. Начальник, уволивший от службы подчиненного без законных к тому оснований, указанных в ст. 63 и 65 настоящего Положения, подлежит ответственности в дисциплинарном или судебном порядке, согласно ст.ст 108 и 109 Уголовного Кодекса.

### *XII. Об отпусках.*

67. Работникам милиции, на основании ст.ст. 114, 120 Кодекса Законов о Труде, предоставляется право на отпуск, а равно распространяются на них и все гарантии, указанные в ст.ст 91 и 92 Кодекса Законов о Труде.

*Примечание.* В отношении предоставления отпуска работникам Угрозыска действуют правила, изложенные в постановлении Закнаркомтруда от 30-го сентября 1924 г. за № 129 о рабочем времени и дежурствах в учреждениях Уголовного Розыска.

68. Право увольнения в отпуск работников милиции принадлежит Начальнику, их назначившему; увольнение же в отпуск Начальника уездно-городской милиции может последовать по согласованию с Президиумом соответствующего Исполнительного Комитета.

*Примечание.* Внеочередные отпуска допускаются в следую-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) საატესტაციო წესისამებრ, ამა დებულების 41 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქციის თანახმად;

დ) უკეთუ ექიმთა კომისიის დადგენილებით თანამშრომელს არ შეუძლიან სამსახური.

**შენიშვნა.** შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ვ“ და „დ“ პუნქტისა და ამა მუხლის „ბ“ და „გ“ და „დ“ პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში მილიციის თანამშრომლის დათხოვნა მოხდება სათანადო უფროსის განკარგულებით, რაც შემდგომ ადგილკომს უნდა ეცნობოს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში-კი, შრომის კანონთა კოდექსის 161 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული წესისამებრ.

66. ის უფროსი, რომელიც ხელქვეითს დაითხოვს კანონიერი საფუძვლის გარეშე, რაც აღნიშნულია ამა დებულების 63 და 65 მუხლში, პასუხს აგებს სადისციპლინო ან სასამართლო წესით, უკანასკნელ შემთხვევაში—თანახმად სისხ. სამართლ. კოდექსის 108 და 109 მუხ.

## 12. შვებულება.

67. მილიციის თანამშრომელს უფლება აქვს მიიღოს შვებულება შრომის კანონთა კოდექსის 114—120 მუხ. თანახმად. ამასთანავე მასზე ვრცელდება ყველა ის გარანტია, რაც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 91 და 92 მუხ.

**შენიშვნა.** სისხ. სამართ. მაძიებელი მილიციის თანამშრომელთათვის მოქმედებს ის წესები, რაც გათვალისწინებულია ა/კ შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წლის სექტემბრის 30-ის თარიღისა და 129 №-რის დადგენილებაში „სამუშაო დროის და მორიგეობის შესახებ სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის დაწესებულებებში“.

68. მილიციის თანამშრომლისათვის შვებულების მიცემის უფლება აქვს იმ უფროსს, რომელმაც თანამშრომელი დანიშნა; ხოლო სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის შვებულებაში დათხოვნა მოხდება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

**შენიშვნა.** რიგს გარეშე შვებულების მიცემა შეიძლება: ა) ახ-

щих случаях: а) смерти или тяжелой опасной болезни ближайших родственников, б) внезапного разорения тех же лиц от несчастных случаев (пожара, наводнения и пр.) и в) в других особо уважительных случаях, при чем продолжительность внеочередных отпусков не должна превышать одного месяца.

69. Лица, пользующиеся очередным и внеочередным отпуском, сохраняют право на все виды довольствия по занимаемой должности.

70. Лица, воспользовавшиеся внеочередным отпуском, не лишаются права на очередной отпуск.

71. Если работники милиции пользуются отпуском вне постоянного места службы, то на проезд его от места службы к избираемому им месту жительства и обратно прибавляется поверстный срок, согласно особых расписаний, об'являемых в приказах Начальника Милиции Республики.

72. По об'явлению работников милиции мобилизованными, все лица, пользующиеся очередными и внеочередными отпусками, обязаны немедленно явиться к месту службы.

Распубликовано в г. „Коммунист“ №№ 262—267 от 16—21 ноября 1926 г.

## ПОДПИСКА.

192 года.................дня.............Я, сын Трудового Народа (имя, отчество и фамилия), гражданин Союза Советских Социалистических Республик ........................(уезда)......................(района) ........................деревня.....................„.............„ лет, вступая добровольно в ряды Рабоче-Крестьянской Красной Милиции, даю настоящую подписку в том, что, состоя на службе в милиции, я обязуюсь:

1. Стоять на страже Революционного порядка и законности.

2. Защищать интересы Рааоче-Крестьянской Власти.

3. Беспощадно подавлять все выступления против Рабоче-Крестьянского Правительства.

4. Притти в случае нужды на помощь Красной Армии и Флоту.

ლო ნათესავის სიკვდილისა ან მძიმე ავადმყოფობის გამო; ბ). უბედური შემთხვევით მისივე უეცარი გალატაკების გამო (ხანძარი, ძყალდიდობა და სხვ.) და გ) სხვა განსაკუთრებულად პატივისადები მიზეზის გამო. ამასთანავე რიგს გარეშე მიცემული შვებულება ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

69. ის პირი, რომელსაც მიეცა მორიგი ან რიგ-გარეშე შვებულება, შეინარჩუნებს ყოველგვარი კმაყოფის უფლებას, რაც მას თანამდებობით ერგება.

70. ის პირი, რომელმაც გამოიყენა რიგ-გარეშე შვებულება, არ ჰკარგავს უფლებას მიიღოს მორიგი შვებულება.

71. უკეთუ მილიციის თანამშრომელი შვებულებას თავისი მუდმივი სამსახურის ადგილის გარეშე გაატარებს, მას იმ ადგილზე გამგზავრებისა და უკან დაბრუნებისათვის მიეცემა სამანძილო ვადა, რესპუბლიკის მილიციის უფროსის ბრძანებაში გამოქვეყნებული განსაკუთრებული განრიგების მიხედვით.

72. მილიციის თანამშრომელთა მობილიზაციის გამოცხადებისთანავე ყველა ის პირი, რომელიც მორიგ ან რიგ-გარეშე შვებულებაშია, მოვალეა დაუყოვნებლივ გამოცხადდეს თავის სამსახურის ადგილას.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე 262—267 №№-ში 1926 წ. ნოემბრის 16—21.

დანართი მ/გ მილიციის

## დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა.

192 წ............................ „ “ დღესა მე, მშრომელთა ხალხის შვილი (სახელი, მამის სახელი და გვარი), საბჭ. სოც. რესპუბლიკების კავშირის ........................ მაზრისა .................... (რაიონისა) .................. სოფელ. „ “ წლისა, ჩავდექი რა ნებაყოფლობით მუშათა და გლეხთა მილიციის რიგებში, ვსდებ ამა ხელწერილს მაღ, რომ მილიციის სამსახურში ყოფნის დროს მოვალე ვარ:

1. ვიდგე რევოლიუციონური წესწყობილებისა და კანონიერების სადარაჯოზე.

2. დავიცვა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ინტერესები.

5. Неуклонно следить за выполнением гражданами законов, постановлений и распоряжений Рабоче-Крестьянской Власти.

6. Защищать законные права граждан Союза Советских Социалистических Республик.

7. Исполнять все служебные приказы и распоряжения своих Начальников кроме преступных и сохранять в тайне все секретные приказы и распоряжения.

8. Соблюдать дисциплину и порядок. согласно положения о службе Рабоче-Крестьянской Милиции и действующих в милиции уставов.

9. Быть честным, мужественным, трезвым и со всеми вежливым.

10. Воздерживаться самому и удерживать товарищей от проступков, порочащих и унижающих достоинство гражданина Союза Советских Социалистических Республик.

11. Знать и соблюдать в точности все инструкции и приказы, касающиеся моих обязанностей по службе.

12. Хранить порученное моей охране народное достояние и имущество граждан СССР на вверенной мне территории.

13. Бережно относится к выдаваемому мне оружию, обмундированию и снаряжению.

14. За нарушение хотя-бы одного из данных мною обязательств, я, как лицо поставленное для наблюдения за революционным порядком, подлежу ответственности по всей строгости революционных законов.

15. Послужить в Рабоче-Крестьянской Советской Милиции один год, т. е. до ........................——————192 года.

Подпись

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. შეუბრალებლად დავთრგუნო ყოველი გამოსვლა მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ.

4. მივეშველო, თუ საჭირო იქნება, წითელ არმიასა და ფლოტს.

5. მტკიცედ თვალყური ვადევნო მოქალაქეთა მიერ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების კანონებისა, დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას.

6. დავიცვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეთა კანონიერი უფლებანი.

7. შევასრულო ყველა სამსახურებრივი ბრძანება და განკარგულება ჩემი უფროსებისა, გარდა დანაშაულობრივი ხასიათისა, და ჩუმად შევინახო ყველა საიდუმლო ბრძანება და განკარგულება.

8. დავიცვა დისციპლინა და წესიერება, მუშათა და გლეხთა მილიციის სამსახურის დებულებისა და მილიციაში მომქმედ წესდებების თანახმად.

9. ვიყო პატიოსანი, მამაცი, ფხიზელი და ყველასთან ზრდილობიანი.

10. თვით შევიკავო თავი და შევაკავო ამხანაგები ისეთ საქციელისაგან, რაც სახელს გაუტეხავს და დაამცირებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქის ღირსებას.

11. ვიცოდე და სწორედ დავიცვა ყველა ინსტრუქცია და ბრძანება, რაც ჩემ სამსახურებრივ მოვალეობას შეეხება.

12. შევინახო ჩემ ჯვის ჩაბარებული სახალხო ავლა-დიდება და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეთა ყოველი ქონება ჩემდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე.

13. გაფრთხილებით მოვეპყრო ჩემთვის მოცემულ იარაღს, თანსაცმელს და საჭურველს.

14. ჩემ მიერ ნაკისრებ თუნდა ერთი რომელიმე მოვალეობის დარღვევისათვისაც-კი, მე, როგორც პიროვნება, დაყენებული რევოლიუციონური წესიერების მეთვალყურეთ, მიცემული უნდა ვიქნე პასუხისგებაში რევოლიუციონური კანონიერების უაღრესი სისასტიკით.

15. მუშათა და გლეხთა საბჭოთა მილიციაში ვიმსახურო ერთი წელიწადი,

ე. ი. 192....წ. . . . . . . . . . . . . . .

ხელისმოწერა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 115. რეზოლიუცია

### სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიისა

**ამხ. ვარძიელის მოხსენების გამო რევოლიუციონური კანონიერებისა და სახალხო სასამართლოების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-III მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიამ მოისმინა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახ. კომისრის მოხსენება რევოლიუციონური კანონიერებისა და სახალხო სასამართლოების შესახებ და სცნო, რომ:

1. ხელისუფლების ორგანოთა მოქმედების უკანასკნელ პერიოდს თვალსაჩინოდ ახასიათებს რევოლიუციონური კანონიერების საფუძველთა განმტკიცება, რის გამოც მშრომელთა მასების შეგნებაში თანდათან ინერგება რევოლიუციონური კანონიერების პრინციპები, და ეს-კი ხელს უწყობს მოსახლეობის შორის ხელისუფლების ავტორიტეტის ზრდასა და განმტკიცებას;

2. ხოლო ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ რევოლიუციონური კანონიერება ჯერ კიდევ სრულ განხორციელებამდე ვერ აღწევს, განსაკუთრებით ადგილობრივ. აქ საბჭოთა მართლწესიერების დამყარებას დაბრკოლებად ეღობება მოსაზრებანი ეგრედწოდებული „ადგილობრივი მიზანშეწონილობისა", რის წყალობითაც ხანდისხან ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონი პირდაპირ შეუსრულებელი რჩება ხოლმე;

3. ბრძოლა რევოლიუციონური კანონიერებისათვის და მისი წარმატებით განხორციელება საჭიროებს ხელისუფლების ყველა ორგანოსაგან, გამოუნაკლისად, გაცხოველებულ მონაწილეობას და მუშათა და გლეხთა ფართო წრეების ინიციატივას; ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და უნდა ჰქონდეს პროკურატურასა და მუშა და გლეხ-კორესპონდენტების მოქმედებას, რაც დიდათ ეხმარება ყოველგვარ უკანონობისა, ადმინისტრატიული თვითნებობისა, უთადარიგობისა და ბიუროკრატიზმის გამომჟღავნება - გამოაშკარავებას;

## 115. Резолюция

### 3 Сессии III Созыва Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов

**по докладу тов. Вардзиели о Революционной Законности и Нарсудах.**

Заслушав доклад Народного Комиссара Юстиции ССР Грузии 3-я Сессия ЦИК-а ССРГ III-го Созыва находит, что: 1) последний период деятельности органов власти характеризуется укреплением начал революционной законности, вследствие чего принципы революционной законности неуклонно укрепляются в сознании трудящихся масс, что способствует возрастанию авторитета власти среди населения;

2) однако, нужно констатировать еще недостаточно твердое осуществление революционной законности особенно на местах, где нормы советского правопорядка встречают для своего осуществления препятствия, в виде соображений „местной целесообразности", которые приводят подчас к прямому неисполнению законов, изданных центральной властью;

3) борьба за революционную законность и успешное ее проведение требует широкого участия всех без исключения органов власти, и инициативы широкой рабоче-крестьянской массы. В этом смысле особенно серьезное значение имеет и должна иметь деятельность прокуратуры и рабселькоров, помогающая раскрытию беззаконий, административного произвола, безхозяйственности и бюрократизма;

4) еще недостаточное внедрение начал ревзаконности вызвало со стороны высших органов Советской власти ряд мероприятий, направленных к усилению деятельности местных Исполкомов, Государственной Прокуратуры и Судебных органов;

5) несмотря на эти мероприятия, необходимо констатировать продолжающиеся случаи нарушения революционной законности, наиболее яркими моментами которых являются:

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. იმ გარემოებამ, რომ რევოლიუციონური კანონიერების პრინციპებს ადგილობრივ ჯერ კიდევ ღრმად არა აქვთ გადგმული ფესვები, აიძულა საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები მიეღოთ მთელი რიგი ღონისძიებანი ადგილობრივი ალმასკომებისა, სახელმწიფო პროკურატურისა და სასამართლო ორგინოების მოქმედების გასაძლიერებლად;

5. ამისდამიუხედავად, მაინც საჭიროა აღინიშნოს, რომ რევოლიუციონური კანონიერების დარღვევა ჯერ კიდევ ხშირია და იგი თვალსაჩინოდ გამოიხატება შემდეგში:

ა) ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი უყურადღებოდ და დაუდევრად ეპყრობა გლეხების გასაჭირს;

ბ) ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო ხმარობს განსაკუთრებით გადასახადისა და გამოსაღების აკრეფის დროს, ყოვლად შეუსაბამო მეთოდს გამგებლობისა, რაც თითქმის არ განსხვავდება ადმინისტრატიული თვითნებობისაგან;

გ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო არაკანონიერად ერევა საადგილ მამულო ურთიერთობის სფეროში და ხშირად მისი მიდგომა მიწის საკითხის გადაწყვეტისადმი სოფლად სწორე არ არის;

6. ყველა ზემოაღნიშნული მოვლენის სავსებით თავიდან აცილებას და იუსტიციის ორგანოთა მუშაობას რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების საქმეში უმთავრესად შემდეგი მიზეზები აფერხებს:

ა) მეტად დაბალ დონეზე სდგას თემებსა და სოფლად მომუშავე პირთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარება;

ბ) ცუდათ არის შერჩეული საბჭოთა ძირეული აპარატის ტეხნიკურ მომუშავეთა შედგენილობა და მათ შორის ხშირად შეხვდებით ისეთ ხალხსაც, რომლისთვისაც სრულიად უცხოა გლეხობის ინტერესები;

გ) ადგილობრივმა მომუშავეებმა ძალიან ნაკლებად იციან ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიმდინარე კანონმდებლობა, ინსტრუქციები და განკარგულებანი. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა ეს მასალა ნაკლებად ეგზავნება ადგილებს;

а) невнимательное и небрежное отношение некоторых представителей власти на местах к нуждам крестьян;

б) применение в отдельных случаях недопустимых методов управления, граничащих с административным произволом, особенно при взимании налогов и сборов;

в) допущение незаконного вмешательства в область регулирования земельных отношений и неправильный подход к упорядочению земельных вопросов в деревне;

6) полное устранение перечисленных выше явлений нарушения революционной законности и окончательно правильное направление деятельности органов юстиции в области внедрения революционной законности тормозятся в значительной степени следующими причинами:

а) сравнительно низким общественным и политическим уровнем развития большинства темских и сельских работников;

б) плохим подбором технического персонала низового Советского аппарата, где подчас встречаются люди, чуждые интересам крестьянства;

в) крайне слабым знакомством местных работников с текущим законодательством и инструкциями и распоряжениями центр. орг. власти и недостаточным снабжением их этими материалами;

г) отсутствием популярной юридической литературы, предназначенной для широких масс населения;

д) не всегда внимательным, подчас безразличным отношением представителей власти к нуждам органов суда и следствия.

В виду изложенного Сессия ГрузЦИК-а постановляет:

1. Усилить внимание всех органов власти в центре и на местах к надлежащей постановке деятельности госорганов, призванных работать для проведения революционной законности, т. е. к работе Прокуратуры, ГПУ, Суда, Следователей, Милиции и Розыска.

2. Всем Исполкомам усилить свою деятельность в отношении проведения революционной законности на ме-

დ) არ არსებობს პოპულიარული იურიდიული ლიტერატურა, მოსახლეობის ფართო წრეებისათვის შესაფერი;

ე) ხელისუფლების ორგანოები ხანდისხან უყურადღებოდ, თითქმის გულგრილად ეპყრობიან სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოთა ამა თუ იმ საჭიროებას;

ვ) არ არის საკმარისად გამორკვეული თემის აღმასკომებისა და სოფლის საბჭოების საბიუჯეტო, ქონებრივი და ადმინისტრატიული უფლებანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია ადგენს:

1. ხელისუფლების ყველა ორგანომ როგორც ცენტრსა, ისე ადგილობრივ უნდა გააძლიეროს თავისი ყურადღება, რათა სათანადოდ იქნეს დაყენებული ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ემსახურება რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებას და აგრეთვე პროკურატურისა, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს, სასამართლოსა, გამომძიებელთა, საერთო და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მუშაობა;

2. ყველა ადგილობრივმა აღმასკომმა უნდა გააძლიეროს თავისი ყურადღება რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებისა და განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით-კი იმისათვის, რომ ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენელნი კანონიერად მოქმედებდნენ მოსახლეობის მიმართ;

3. სახელმწიფო პროკურატურამ რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებისათვის—უნდა განაგრძოს შეუდრეკელი ბრძოლა როგორც ადგილობრივ „საკანონმდებლო შემოქმედებასთან“, რისთვისაც უნდა გააფართოოს და გააღრმაოს ადმინისტრატიული ზედამხედველობა, ისე ბრძოლა იმისათვისაც, რომ რაც შეიძლება მეტად დაეუფლოს სახელმწიფოს ძირეულ აპარატს;

4. სწორე გზად იქნეს ცნობილი მუშა და გლეხ-კორესპონდენტების წერილების გამოყენება საბჭოთა ორგანოების მოქმედების ნაკლის გამოსარკვევად და რევოლიუციონური კანონიერებისათვის ბრძოლის საწარმოებლად;

5. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი იუსტიციის სახალხო კომისარიატის

стах, обратив особое внимание на действия представителей власти с точки зрения ее закономерности при сношениях с населением.

3. Государственной Прокуратуре продолжать упорную борьбу по проведению революционной законности, как по линии борьбы с проявлениями законотворчества на местах, путем расширения и углубления административного надзора, так и по линии возможно более полного охвата низового государственного аппарата.

4. Путь использования рабселькоровских заметок для выяснения недочетов в работе Советских органов и для борьбы за рев. законность признать правильным.

5. Установленную НКЮ практику выездных сессий Обсудов и Нарсудов, при которой дела, имеющие общественно политическое значение, рассматриваются на местах, что приближает Суд к широким массам населения и дает последним возможность непосредственного ознакомления с применением революционной законности на практике, признать правильным и целесообразным.

6. Усилить работу РКИ по обследованию безхозяйственности и выявлению преступлений отдельных должностных лиц и теснее увязать работу РКИ с Прокуратурой.

7. В целях определения и уточнения административных и имущественно-бюджетных прав всех местных органов и представителей власти тем-и-сельсоветов, признать целесообразным издание Административ. кодекса.

8. Подтвердить к неуклонному исполнению всех местных органов о недопустимости какого бы то ни было вмешательства в деятельность судебных и следственных органов и органов прокуратуры, предложить прокуратуре привлекать этих лиц к судебной ответственности и категорически воспретить назначения, смещения и перемещения Нарсудей и Нарследователей вне порядка, установленного законом.

9. Признать необходимым снабжение работников Суда, милиции, розыска, а равно темисполкомов и сель-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრაქტიკით დაწესებული ოლქისა და სახალხო სასამართლოების სესიების ადგილობრივ გაგზავნა, რის გამოც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეები ადგილობრივ ირჩევა, და ამით სასამართლო უახლოვდება მოსახლეობის ფართო მასებს, რომლებსაც საშუალება ეძლევათ დაინახონ და გაიგონ, როგორ ხორციელდება რევოლიუციონური კანონიერება პრაქტიკაში;

6. გაძლიერებულ იქნეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა თანამდებობის პირთა უთადარიგობის გამოკვლევისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავებისათვის და უფრო მჭიდროთ იქნეს შეკავშირებული მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და პროკურატურის მუშაობა;

7. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი ადმინისტრატიული კოდექსის გამოცემა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისა და თემის აღმასკომებისა და სოფლის საბჭოების ადმინისტრატიულ, ქონებრივ და საბიუჯეტო უფლებათა განსაზღვრისათვის;

8. დადასტურებულ იქნეს ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანოს საყურადღებოდ და შესასრულებლად ის დებულება, რომ არავითარ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანო არ უნდა ჩაერიოს სასამართლო, საგამომძიებლო და საპროკურატურო ორგანოების მოქმედებაში, წინადადება მიეცეს პროკურატურას პასუხის გებაში აძლიოს სასამართლოს წესით ყველა ვინც კი ამ დებულებას დაარღვევს; კატეგორიულად აიკრძალოს სახალხო მოსამართლეთა და გამომძიებელთა დანიშვნა, გადაყენება და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა საამისოდ დადგენილი წესის გარეშე;

9. საჭიროდ იქნეს ცნობილი სასამართლო მომუშავეთათვის, მილიციისა და სისხლის სამ. მაძიებელი მილიციისათვის, აგრეთვე თემის აღმასკომებისა და სოფლის საბჭოებისათვის საკანონმდებლო მასალისა და ცენტრის ინსტრუქციების და განკარგულებების მიწოდება საკმარისი რაოდენობით; საამისოდ გაწეული ხარჯი ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისათვის მიეკუთვნოს ადგილობრივ ბიუჯეტს; ამასთანავე დაევალოს სახალხო კომისართა საბჭოს განიხილოს საკითხი აღ-

советов законодательными материалами, а также инструкциями и распоряжениями Центра в достаточном для них количестве; расходы по такому снабжению для учреждений состоящих на местном бюджете, отнести за счет местного бюджета, поручив СНК рассмотреть вопрос о возможности перенесения этих расходов на госбюджет; признать необходимым широкое издание популярных пособий, брошюр и руководств по отдельным вопросам права и местного управления, а также популярных справочников для широких масс крестьянства по вопросам о земельном и налоговом законодательствах.

10. Предложить СНК обсудить вопрос о введении в школах первой ступени преподавания основ Советского права, в особенности в части соприкасающейся с жизнью и бытом широких масс трудящихся, и об расширении программы преподавания Советского Права в учебных заведениях Наркомпроса вообще.

11. Повысить квалификацию работников Прокуратуры, а равно принять меры к более тщательному подбору Нарсудей и Нарследователей, а также работников милиции и розыска, усилить привлечение рабочих и крестьян в особенности крестьянок к судебной и прокурорской работе, ввести институт практикантов при судах из лиц, выдвигаемых парт. и профорганизациями.

12. Признать необходимым расширение сети Юридических консультаций в уездах, и учреждение постоянной должности юрисконсультов при всех Уисполкомах.

13. Принять меры к ускорению следственного производства и к возможному упрощению уголовного процесса, равно признать необходимым установление твердости в отношении проведения в жизнь судебных приговоров по уголовным делам, дабы судебная уголовная политика приобрела бы характер непоколебимости и устойчивости.

14. Принять меры к распределению членов колл. защитников по судебным районам с привлечением в

ნიშნული ხარჯის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიკუთვნების შესაძლებლობის შესახებ; საჭიროდ იქნეს აგრეთვე ცნობილი სამართალსა და ადგილობრივი გამგებლობის საკითხებზე პოპულიარული ბროშიურებისა, დამხმარე წიგნებისა და სახელმძღვანელოების ფართო გამოცემა, გამოცემა აგრეთვე გლეხობისათვის პოპულიარული ცნობარებისა მიწისა და საგადასახადო პოლიტიკის საკითხებზე;

10. წინადადება მიეცეს სახალხო კომისართა საბჭოს—განიხილოს საკითხი პირველი საფეხურის სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძველთა სწავლების შესახებ, განსაკუთრებით იმ ნაწილისა, რაც მშრომელთა ფართო წრეების ყოფა-ცხოვრებას შეეხება და, საერთოდ, განათლების სახალხო კომისარიატის სასწავლებლებში საბჭოთა სამართლის სწავლების პროგრამის გაფართოების შესახებ;

11. მიღებულ იქნეს ღონისძიება პროკურატურის მომუშავეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სახალხო მოსამართლეთა, გამომძიებელთა, მილიციისა და სისხლის სამ. მაძიებელი მილიციის მომუშავეთა უფრო ხელმიწვდენით შერჩევისათვის; მიღებულ იქნეს აგრეთვე ღონისძიება, რათა სასამართლოსა და პროკურატურის მუშაობაში რაც შეიძლება მეტი მუშები და გლეხები, განსაკუთრებით-კი გლეხი-ქალები ჩაებნენ; დაწესებულ იქნეს სასამართლოებთან პრაქტიკანტების ინსტიტუტი პარტიული და პროფორგანიზაციების მიერ საამისოთ დასახელებულ პირთათვის;

12. საჭიროდ იქნეს ცნობილი იურიდიული კონსულტაციის გაფართოება მაზრებში და ყველა მაზრის აღმასკომთან იურისკონსულტის თანამდებობის დაწესება;

13. მიღებულ იქნეს ღონისძიება, რათა უფრო მეტი სისწრაფით სწარმოებდეს გამოძიება და რაც შეიძლება მეტად გამარტივდეს სისხლის სამართლის პროცესი; ხოლო, რათა სასამართლოს სისხლის სამართლის პოლიტიკა მედგარი და შეურყეველი იყოს, საჭიროდ იქნეს ცნობილი სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების სიმტკიცით შესრულება;

14. მიღებულ იქნეს ღონისძიება დამცველთა კოლეგიის წევრების გასანაწილებლად სასამართლო რაიონებს შორის და აგრეთვე იმისათვის, რათა მაზრებში уезды возможно большего числа членов Колл. Защитник. из рабочих, крестьян, женщин. Считать необходимым установление через прокуратуру надзора за деятельностью защитников и Юрисконсультских частей Государст. учреждений и предприятий.

15. Предложить НКЮ и НКВД дать на местах соответствующие указания по вопросу о том, чтобы административные взыскания, налагаемые в виде штрафов, соответствовали бы материальной обеспеченности виновных, не допуская при наложении штрафов соображений повышения доходов местного бюджета.

16. Сессия полагает, что Государственная Прокуратура в ближайший период особое внимание должна уделять следующим вопросам:

а) правильное проведение линии, принятой Советской властью по отношению к бедняцкому и середняцкому крестьянству и надзору за проведением выборной компании;

б) надзору за проведением налоговой компании в особенности по отношению к крестьянам, кустарям и ремесленникам;

в) надзору за деятельностью местных органов и учреждений в области урегулирования земельных вопросов и споров;

г) надзору за выполнением на местах директив об отделении церкви от государства;

д) надзору за деятельностью кооперативных, профессиональных и общественных организаций и решительной борьбы с хищениями, растратами и прочими должностными преступлениями, с усилением и укреплением для этого связи с селькорами и рабкорами;

е) усиление прокурорского надзора в вопросах борьбы со взяточничеством, административн. произволом, волокитой и другими действиями должностных лиц, непосредственно подрывающими авторитет Советской власти в глазах сельского населения и тормозящими культурное и экономическое развитие деревни.

17. Предложить уездным и городским Исполкомам изыскать все воз-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცველთა კოლეგიის წევრებად რაც შეიძლება მეტი მუშა, გლეხი და ქალი იყოს; საჭიროდ იქნეს ცნობილი დამცველებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა იურისკონსულტების მოქმედებისათვის საპროკურორო ზედამხედველობის დაწესება;

15. წინადადება მიეცეს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს მიაწოდონ ადგილობრივ სათანადო განმარტება იმის შესახებ, რომ ჯარიმის სახით გადაწყვეტილი ადმინისტრატიული გადასახდელი შეეფერებოდეს დამნაშავის მატერიალურ მდგომარეობას და ჯარიმის გადაწყვეტა არავითარ შემთხვევაში არა ხდებოდეს იმ მოსაზრებით, რომ ამით ადგილობრივ ბიუჯეტს რაიმე შეემატოს;

16. სესია იმ აზრისაა, რომ სახელმწიფო პროკურატურამ უახლოეს მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ საკითხებს:

ა) საბჭოთა ხელისუფლების მიერ ღარიბი და საშუალო გლეხობის მიმართ მიღებული ხაზის სისწორით დაცვა და საარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის ზედამხედველობის გაწევა;

ბ) ზედამხედველობის გაწევა საგადასახადო კამპანიის ჩატარებისათვის, მეტადრე გლეხებისა, შინამრეწველების და ხელოსნების მიმართ;

გ) ზედამხედველობის გაწევა ადგილობრივ ორგანოთა და დაწესებულებათა მოქმედებისათვის საადგილ-მამულო საკითხების და დავის მოწესრიგების სფეროში;

დ) ზედამხედველობის გაწევა ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების დეკრეტების განხორციელებასათვის ადგილობრივ;

ე) ზედამხედველობის გაწევა კოოპერატიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედებისათვის, დაუნდობელი ბრძოლა მტაცებლობასა, გაფლანგვასა და სხვა დანაშაულთან და ამისათვის მუშა და გლეხ-კორესპონდენტებთან კავშირის განამტკიცება;

ვ) საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება მექრთამეობასა, ადმინისტრატიულ თვითნებობასა, საქმის გაჭიანურებასა და თანამდებობის პირთა სხვა ისეთ მოქმედებასთან ბრძოლისათვის, რაც კი პირდაპირ სახელს უტეხავს საბჭოთა ხელისუფლებას სოფ-

можности для сохранения существующего количества сети Народных Судов и следственных участков.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1926 г. октября 10.
Тифлис—Дворец.

ლის მოსახლეობის თვალში და აფერხებს სოფლის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას.

17. წინადადება მიეცეს მაზრისა და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ყოველგვარი ღონისძიება, რათა შენარჩუნებულ იქნეს არსებული ქსელი სახალხო სასამართლოებისა და საგამომძიებლო უბნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1926 წ. ოქტომბრის 10.
ტფილისი—სასახლე.

---

## 116. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**კერძო გამომცემლობის დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ კერძო გამომცემლობათა საერთო ხელმძღვანელობისა და მოწესრიგებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება კერძო გამომცემლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. სექტემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

## დებულება

**კერძო გამომცემლობის შესახებ.**

1. კერძო გამომცემლობად იგულისხმება:

ა) საპაიო საზოგადოების პრინციპზე მომქმედი გამომცემლობა;

ბ) კოოპერატიულ პრინციპზე მომქმედი გამომცემლობა;

## 116. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**Об утверждении Положения о частных издательствах.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии в целях общего руководства и регулирования деятельности частных издательств, функционирующих на территории ССР Грузии, постановляет:

Утвердить и ввести в действие прилагаемое к сему постановлению Положение о частных издательствах.

Председатель Сов. Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управл. Делами Совета Народных Комис. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. сентября 10.
Тифлис—Дворец.

## ПОЛОЖЕНИЕ

**О частных издательствах.**

1, Под частными издательствами следует понимать:

а) издательство паевых обществ;

б) издательство на кооперативных началах;

в) издательство индивидуальное.

გ) ინდივიდუალური გამომცემლობა.

**შენიშვნა.** ზემოაღნიშნულ გამომცემლობათა გარდა, ყველა მოქალაქეს, ავტორი იქნება იგი თუ არ იქნება ავტორი, შეუძლია მიიღოს ცალკე შემთხვევაში ბეჭდვითი ნაწარმოებთა გამოცემის უფლება.

2. I-ლ მუხლში ჩამოთვლილ ამა თუ იმ გამომცემლობის დასაარსებლად და სამოქმედოდ საჭიროა წესდება და დამფუძნებელთა სათანადო შედგენილობა, რომელთაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარი სამმართველო (მთავლიტი).

3. წიგნების გამომცემლობის დაარსების ნებართვას იძლევა საქართველოს სსრ გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარი სამმართველო.

**შენიშვნა.** წესდების შედგენა და დამტკიცება იმ პირთათვის, რომელნიც გამომცემლობის საქმეს მუდმივ არ მისდევენ, საჭირო არ არის.

4. ბეჭდვითი ნაწარმოების გამოშვებისათვის ყველა I-ლ მუხლში აღნიშნული გამომცემლობა ვიზას საქართველოს სსრ გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარ სამმართველოსაგან მიიღებს, ამ სამმართველოს დებულების მე-5 მუხ. თანახმად.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული ვალდებულებისაგან კერძო გამომცემლობა იმ შემთხვევაშიაც არ განთავისუფლდება, თუნდაც იგი ამა თუ იმ ნაწარმოებს გამოსცემდეს საქართველოს სსრ გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარ სამმართველოს დებულების მე-4 მუხლში აღნიშნულ გამომცემლობათა მინდობილობით.

5. აფხაზეთისა და აჭარისტანის რესპუბლიკების ტერიტორიაზე ესა თუ ის წიგნების გამომცემლობა დაარსდება და მოქმედებს სათანადო გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარ სამმართველოს დებულებისა და წესების თანახმად.

6. I-ლ მუხლში ჩამოთვლილ ამა თუ იმ გამომცემლობის მიერ გამოსაცემად განზრახულ ბეჭდვითი ნაწარმოებზე წინასწარი ხელის მოწერის გამოცხადებისათვის, რაც პრესაში უნდა იქნეს გამოქვეყნებული, საჭიროა საქართველოს

*Примечание.* Кроме вышепоименованных издательств каждый гражданин, будь то автор или постороннее лицо, может получить в отдельных случаях право на издание печатных произведений.

2. Для учреждения и деятельности всех перечисленных в п. 1-м издательств требуется соответствующий устав и состав учреждений, которые утверждаются Главлит'ом ССРГ (Главное Управление по делам издательства и литературы).

3. Разрешение на право учреждения книгоиздательства выдает Главлит ССРГ.

*Примечание.* Для отдельных лиц, не занимающихся издательством как постоянным делом, составление и утверждение устава не требуется.

4. Визу на получение выпуска печатных произведений все перечисленные в 1 п. издательства получают от Главлита ССРГ, согласно пункта 5 положения о Главлите.

*Примечание.* От означенного в этом пункте обязательства частные издательства не освобождаются и в тех случаях, если они будут издавать произведения по поручению издательств, предусмотренных в 4 п. положения о Главлите ССР Грузии.

5. На территории республик Абхазии и Аджаристана книгоиздательства учреждаются и функционируют на основании Положения и Правил соответствующих Главлитов.

6. Для об'явления издательствами, перечисленными в 1 п., предварительной подписки, публикуемой в прессе, на предполагаемое к изданию печатное произведение требуется соответствующее разрешение Главлита ССР Грузии.

7. Издательства могут иметь конторы, склады, магазины и т. д., а также имеют право арендовать таковые у правительства и частных владельцев, с соблюдением установленных на этот предмет правил.

8. Частные издательства имеют

სსრ გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარ სამმართველოს ნებართვა.

7. გამომცემლობას შეუძლია იქონიოს კონტორა, საწყობი, მაღაზია და სხვ.; აგრეთვე უფლება აქვს ყოველივე ეს იჯარით აიღოს მთავრობისა და კერძო მესაკუთრისაგან, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს სათანადო წესები.

8. კერძო გამომცემლობას უფლება აქვს გამოსცეს ყოველგვარი ნაწარმოები, იმ ნაწარმოებთა გარდა, რომელთა გამოცემის მონოპოლიური უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობას (სასწავლო და სახმარი წიგნები, სახელმძღვანელონი და საბავშო ლიტერატურა).

9. კერძო გამომცემლობა მოვალეა შეასრულოს საქართველოს სსრ გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარ სამმართველოს ყველა დადგენილება და განკარგულება.

10. კერძო გამომცემლობა ოფიციალურად დადგენილი წესით გამოაქვეყნებს ბალანსს და გამომცემლობის მოქმედების ანგარიშს.

11. ყოველგვარი ცვლილება, რაც-კი გამომცემლობის დამფუძნებელთა შედგენილობაში მოხდება, დაუყოვნებლივ საქართველოს სსრ გამომცემლობისა და ლიტერატურის მთავარ სამმართველოს უნდა ეცნობოს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-209 №-ში 1926 წ. სექტემბრის 14; ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს „მოამბის“ 1926 წ. მე-13—14 №-ში.

право издавать всякого рода произведения, кроме тех, на издание которых дано монопольное право Госиздату ССР Грузии (учебные пособия и детская литература).

9. Частные издательства обязаны выполнять все постановления и распоряжения Главлита ССР Грузии.

10. Частные издательства публикуют в оффициально установленном порядке баланс и отчет о деятельности издательства.

11. Всякого рода изменения, происшедшие в составе учредителей издательства, должны быть немедленно сообщены Главлиту ССР Грузии.

Председатель Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

Распубликовано в газете „Коммунист“ № 209 от 14 сентября 1926 г.; в „Моамбе“ ВЦИК и СНК 1926 г. № 13—14.

## 117. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის — „სოფლის კავშირი“-ს საორგანიზაციო ბიუროს დაარსების შესახებ.**

სოფლის მეურნეობის თვითმოქმედების გასაძლიერებლად, საქართველოს სასოფ-

## 117. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**Об учреждении Организационного Бюро по образованию Всегрузинского Центрального союза сельско-хозяйственных кооперативов „Соплис-Кавшири“.**

В целях проведения в жизнь, на основе самодеятельности сельских хозяев, рациональных способов поста-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მეურნეობის რაციონალურად დასაყენებლად, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღებისა, მასალისა და სხვა საგნების დამზადებლად და მისაწოდებლად და აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების საქმის სისწორით მოსაწყობად— საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს საორგანიზაციო ბიურო სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის—„სოფლის კავშირი"-ს მოსაწყობად.

2. აღნიშნულ საორგანიზაციო ბიუროს დაეკისროს მთელი წინასწარი მუშაობის წარმოება, რაც საჭიროა სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ცენტრალური კავშირის—„სოფლის კავშირი"-ს დასაარსებლად. კერძოდ ბიუროს დაეკისრება: ა) შეადგინოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირის წესდება, ბ) მიიღოს ზომები წესდების დასამტკიცებლად და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის მოსაწვევად, რომელზედაც არჩეულ იქნება მმართველი ორგანოები (გამგეობა, სარევიზიო კომისია).

3. სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის—„სოფლის კავშირი"-ს, ხოლო მის ჩამოყალიბებამდე საორგანიზაციო ბიუროს მიზანს შეადგენს:

1) გააერთიანოს საქართველოს ფარგლებში მოქმედი შემდეგი კოოპერატიული ორგანიზაციები: ა) შერეული ტიპის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი და არტელები და აგრეთვე მათი შენაერთები, რომლებიც მისდევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას და გასაღებას; ბ) სპეციალური ხასიათის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი, არტელები და მათი შენაერთები; გ) სამიწათმოქმედო კომუნები და არტელები, დ) სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობანი, ე) ყოველგვარი კოოპერატიული შენაერთები, რომელნიც ხელს უწყობენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას.

2) უხელმძღვანელოს კავშირში წევრებად შემავალ კოოპერატივებს და მათ

новки сельско-хозяйственного дела Грузии, организации заготовок и снабжения сельско-хозяйственными орудиями, материалами и другими предметами, а также переработки и сбыта продуктов производства сельского хозяйства, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

I. Учредить Организационное Бюро по образованию Всегрузинского Центрального Союза сельско-хозяйственных кооперативов „Соплис-Кавшири".

II. Возложить на Организационное Бюро выполнение всей предварительной подготовительной работы по организации Всегрузинского Центрального Союза сельско-хозяйственных кооперативов „Соплис-Кавшири" в частности: а) по составлению устава указанного союза сельско-хозяйственной кооперации и б) по принятию мер к утверждению устава и созыву с'езда представителей сельско-хозяйственных кооперативных организаций Грузии для выбора органов управления (правление, ревизионная комиссия).

III. Задачами Всегрузинского Центрального Союза сельско-хозяйственных кооперативов „Соплис-Кавшири", а до его окончательного оформления—организационного Бюро, являются:

1) Об'единение функционирующих в пределах Грузии следующих кооперативных организаций: а) сельско-хозяйственных товариществ и артелей смешанного типа и их об'единений, занимающихся производством, переработкой и сбытом сельско-хозяйственных продуктов; б) сельско-хозяйственных товариществ и артелей специального характера и их об'единений; в) земледельческих коммун и артелей; г) сельско-хозяйственно-кредитных товариществ и д) всякого рода кооперативных об'единений, содействующих развитию сельского хозяйства в Грузии;

2) Руководство входящими в союз в качестве членов кооперативами и их союзами во всех областях хозяйственной, организационной и культурно-кооперативной деятельности;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებს სამეურნეო, საორგანიზაციო და კულტურულ-კოოპერატიული მუშაობის ყველა დარგში;

3) მიიღოს ზომები ახალი კოოპერატიული ორგანიზაციების შესაქმნელად იქ, სადაც ამას ეკონომიური და სხვა პირობები მოითხოვს, აგრეთვე მოაწყოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან შეთანხმებით, სოფლის მეურნეობის ახალი დარგები კოოპერატიულ ნიადაგზე;

4) უშუალოდ შეასრულოს ის სამეურნეო, საორგანიზაციო და კულტურულ კოოპერატიული ხასიათის ამოცანები, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინტერესებთან;

5) მოაწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა, გადამუშავებისა და გასაღების საქმე, მიაწოდოს სოფლის მეურნეობას საჭირო მოწყობილობა და მასალა, და აგრეთვე გამონახოს და გამოიყენოს ამ მიზნისათვის საჭირო კრედიტი;

6) ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ამ საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებით და მოაწყოს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, საცდელ-საჩვენებელი დაწესებულებანი და გამოსაცდელი სადგურები და ლაბორატორიები სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოსაკვლევად;

7) ხელი შეუწყოს წევრებს იაფი კრედიტის მიწოდებით, მათი როგორც ნედლი, ისე გადამუშავებული პროდუქტების გასაღებით და აგრეთვე მათთვის საჭირო საქონლის შეძენით.

> **შენიშვნა.** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და საორგანიზაციო ბიუროს და „სოფლის კავშირი"-ს ურთიერთობა მუშაობის იმ დარგებში, რაც გათვალისწინებულია ამა მუხლის „2" და „3" პუნქტში, მოწესრიგდება ამ საგანზე არსებული დებულებებით.

4. ყველა თანხა და კრედიტი, რაც დანიშნულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრისათვის, გადადის საორგანიზაციო ბიუროს განკარგულებაში.

5. საორგანიზაციო და სამეურნეო ღონისძიებათა განსახორციელებლად საო-

3) Принятие мер к созданию новых кооперативных организаций там, где это вызывается экономическими и иными условиями, а также к организации новых отраслей сельского хозяйства на началах кооперации по соглашению с Наркомземом ССР Грузии;

4) Непосредственное выполнение хозяйственных, организационных и культурно-кооперативных задач, имеющих связь с интересами сельскохозяйственной кооперации;

5) Организация заготовки, переработки и реализации продуктов сельского хозяйства и снабжение сельского хозяйства необходимыми оборудованием и материалами, а также изыскание и использование на эти надобности кредитов;

6) Содействие развитию сельского хозяйства рациональной постановкой дела и организацией, по соглашению с Наркомземом, опытно-показательных учреждений, и устройством испытательных станций и лабораторий для исследования продуктов сельского хозяйства;

7) Содействие своим членам путем организации снабжения дешевым кредитом, сбыта продуктов их производства как в сыром, так и переработанном виде, а также приобретением для них товаров.

> *Примечание.* Взаимоотношения с Сельхозбанком Грузии в указанных в п.п. 2 и 3 настоящей статьи областях деятельности Организационного Бюро и „Соплис Кавшири" регулируются существующими на сей предмет положениями.

IV. Все денежные суммы и кредиты, предназначенные для центра сельско-хозяйственной кооперации Грузии, поступают в распоряжение Организацнонного Бюро.

V. Для своих организационных и хозяйственных мероприятий Организационное Бюро руководствуется выработанными им самим правилами внутреннего распорядка

VI. Состав организационного Бюро из трех лиц и одного кандидата к

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგანიზაციო ბიურო ხელმძღვანელობს თავის მიერვე შემუშავებულ შინაგანრიგების წესებს.

6. საორგანიზაციო ბიუროს, რომელიც შესდგება სამი წევრისაგან და ერთი კანდიდატისაგან, დანიშნავს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

7. საორგანიზაციო ბიუროს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება; ბიუროს აქვს უფლება აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები და დასდოს ყოველგვარი გარიგება, კერძოდ: შეიძინოს ქონება, გაიხსნას ბანკებში კრედიტი, აიღოს სესხი, გასცეს თამასუქი, დააგიროს საქონელი, დაიქირაოს მუშა-მოსამსახურენი და საზოგადოდ ისარგებლოს ყველა ის უფლება, რაც კოოპერატივთა კავშირის ნორმალური წესდების ძალით მინიჭებული აქვს ამ კავშირების აღმასრულებელ ორგანოებს.

8. დაკისრებულ მუშაობას საორგანიზაციო ბიურო აწარმოებს იმ დრომდე, ვიდრე ჩამოყალიბდებოდეს სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი — „სოფლის კავშირი“, რომლის დამფუძნებელ კრებასაც ბიურო წარუდგენს თავის მოქმედების ანგარიშს და აგრეთვე ჩააბარებს მას მთელ აქტივსა და პასივს, რის შემდეგაც საორგანიზაციო ბიურო გაუქმებულად ჩაითვლება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. სექტემბრის 10.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-208 №-ში 1926 წ. სექტემბრის 12; ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ოს „მოამბის“ 1926 წ. მე-13—14 №-ში.

ним назначается Советом Народных Комиссаров ССР Грузии.

VII. Организационное Бюро пользуется всеми правами юридического лица. Бюро вправе вести торговые операции и заключать всякого рода сделки, в частности: приобретать имущество, открывать в банках кредиты, делать займы, выдавать векселя, закладывать товары, нанимать рабочих и служащих и, вообще, пользоваться всеми правами, предоставленными, согласно нормального устава кооперативных союзов, исполнительным органам последних.

VIII. Всю возложенную на него работу Организационное Бюро несет впредь до оформления Всегрузинского Центрального Союза сельско-хозяйственных кооперативов „Соплис-Кавшири“ учредительному собранию коего оно обязано представить отчет о своей деятельности и передать ему весь актив и пассив, после чего Организационное Бюро признается ликвидированным.

Председатель Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. сентября 10.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист“ № 208 от 12 сентября 1926 г.; в „Моамбэ“ ВЦИК и СНК 1926 г. № 13—14.

## 118. დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

### იმ ღონისძიებათა შესახებ, რითაც შემცირებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოთა მიერ თავიანთი მოქმედების ანგარიშებისა და მასალების გამოცემა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, რომელიც საბიუჯეტო წესისამებრ სახელმწიფო ან ადგილობრივი სახსარით ინახება, აგრეთვე სამეურნეო ხარჯზე მყოფ დაწესებულებას და საწარმოს და კოოპერატიულ ორგანოს შეუძლიან გამოსცეს თავისი მოქმედების მასალები და ანგარიშები მარტოოდენ სათანადო უწყების უფროსის ნებართვით, რომელსაც დაეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა აღნიშნულ მასალებისა და ანგარიშების გამოქვეყნების მიზანშეწონილებისათვის.

2. წინა მუხლში აღნიშნული მასალებისა და ანგარიშების გამოცემისათვის ნებართვის მიცემის დროს უწყების უფროსი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს, რომ დასაბეჭდად შერჩეული იყოს მხოლოდ ისეთი მასალა და ანგარიში, რასაც არა მარტო იმ დაწესებულებისა და საწარმოსათვის ექნება მნიშვნელობა, ვინც მას აქვეყნებს, არამედ უფრო ფართო ინტერესს წარმოადგენს.

3. სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანოს მასალისა და ანგაოიშის დაბეჭდვისათვის საჭირო ხარჯი არ შეუძლიან ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ სათანადო ფარგალს გადააცილოს, ხოლო, რაც შეეხება კომერციულ ანგარიშზე მყოფ საწარმოს და კოოპერატიულ ორგანოს მიერ იმავე მიზნისათვის გაწეულ ხარჯს, იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს საწარმოს და კოოპერატიული ორგანოს საფინანსო გეგმით და არ უნდა გადასცილდეს ამ გეგმით გათვალისწინებულ დანიშნულებათა ფარგალს.

4. კონტროლის გაწევა იმისათვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანოთა მოქმედების მასალები და ანგარიშები გამოცემულ იქნეს მარტოოდენ

## 118. Постановление

### Совета Народных Комиссаров ССР Грузии

### О мерах к сокращению издания материалов и отчетов о деятельности государственных и кооперативных органов.

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. Государственные учреждения и предприятия, как содержимые на государственные и местные средства в бюджетном порядке, так и состоящие на хозяйственном расчете, а равно органы кооперации могут издавать материалы и отчеты о своей деятельности, не иначе, как с разрешения главы подлежащего ведомства, на которого возлагается персональная ответственность за целесообразность опубликования указанных материалов и отчетов.

2. При даче разрешения на издание материалов и отчетов, указанных в предыдущей статье, глава ведомства обязан обращать внимание на правильный отбор к напечатанию лишь таких материалов и отчетов, которые имеют значение не только для учреждений или предприятий, публикующих эти материалы, но представляют более широкий интерес.

3. Расходы на печатание материалов и отчетов органов, состоящих на государственном или местном бюджете, не могут выходить из предела ассигнований по подлежащим сметным подразделениям. Расходы на те же цели, производимые предприятиями, действующими на началах коммерческого расчета, а равно кооперативных органов, должны быть предусмотрены их финансовыми планами и не выходить за пределы назначений, предусмотренных планами.

4. Контроль за тем, чтобы материалы и отчеты о деятельности государственных учреждений и предприятий, и равно кооперативных органов издавались не иначе, как с соблюдением разрешительного порядка, предусмотренного настоящим По-

ამა დადგენილებით გათვალისწინებული სანებართვო წესის დაცვით, დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავლიტს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. სექტემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-211 №-ში 1926 წ. სექტემბრის 16; ც. ა. კ-ის და ს.კ.ს-ის „მოამბის" 1926 წ. მე-13—14 №-ში.

становлением—возлагается на Главлит ССР Грузии.

Председатель Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ш. Элиава.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. сентября 14.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист" № 211 от 16 сентября 1926 г.; в „Моамбе" ВЦИК и СНК 1926 г. № 13—14.

---

## 119. დადგენილება

### საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**სამაზრო და სათემო სადასაზღვეო თათბირთა და დამზღვევი ორგანიზაციის რწმუნებულთა შესახებ.**

გლეხობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სასოფლო საგანაკვეთო დაზღვევის საქმეში ჩაბმისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა, მაზრის აღმასკომის თავმჯდომარისა ან იმავე აღმასკომის წევრის თავმჯდომარეობით, სამაზრო სადასაზღვეო თათბირი. ამ თათბირში სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

აღმასკომის თავმჯდომარისა და დამზღვევ აგენტის გარდა, თათბირის შედგენილობაში შევა: კომუნალური განყოფილებისა, საადგილ-მამულო განყოფილებისა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და საურთიერთო დახმარების კომიტეტის თითო წარმომადგენელი და აგრეთვე აგრონომი და ექიმი-ვეტერინარი.

2. სამაზრო სადასაზღვეო თათბირი მოიწვევა სამს თვეში ერთხელ მაინც თავმჯდომარის განკარგულებით, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში სახელმწიფო

## 119. Постановление

### Совета Народных Комиссаров ССР Грузии

**Об организации уездных и темских страховых совещаний и страховых уполномоченных.**

В целях привлечения крестьянства и местных органов власти к участью в деле сельского страхования, Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. При каждом Уездном Исполнительном Комитете образовать Уездное Страховое Совещание под председательством Председателя или Члена Исполнительного Комитета при обязательном участии представителя соответствующего органа государственного страхования.

Кроме Предисполкома и Страхового агента, в состав Совещания входят: по одному представителю от Коммунального Отдела, Земотдела, Сельско-хозяйственной Кооперации и Комитета Взаимопомощи, а также агроном и ветеринарный врач.

2. Уездное Страховое Совещание созывается не реже одного раза в 3 месяца по распоряжению Председателя, а в случае необходимости по ходатайству через Уисполком местного представителя Госстраха.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზღვევის ადგილობრივი წარმომადგენლის შუამდგომლობითაც, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

3. თათბირის სხდომებისათვის შედგენილ უნდა იქნეს ჟურნალი, სადაც ჩაიწერება თათბირის დადგენილება ყველა მის მიერ განხილული საკითხის გამო.

შენიშვნა. უკეთუ თათბირის ესა თუ ის წევრი თათბირის დადგენილების თანახმა არ იქნება, მან თავისი განსაკუთრებული აზრი წერილობით უნდა წარადგინოს სამის დღის განმავლობაში ან იქვე სხდომაზე მოითხოვოს ამ აზრის სხდომის ჟურნალში შეტანა.

4. სამაზრო სადასაზღვეო თათბირს დაეკისრება:

ა) შეიტანოს, რესპუბლიკანური სადასაზღვეო კონტორის მეშვეობით, სადასაზღვეო საბჭოში განსახილველად სხვა-და-სხვა პროექტი და წინადადება სავალდებულო დაზღვევის საკითხების შესახებ;

ბ) განიხილოს საგადანაკვეთო ნორმების (სადასაზღვეო თანხები) პროექტები სავალდებულო დაზღვევისათვის, თანაც მხედველობაში იქონიოს ადგილობრივი სამეურნეო თავისებურებანი და თემების სადასაზღვეო თათბირის მოხსენებებში გამოთქმული წინადადებანი;

გ) გაანაწილოს სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გეგმით მოსახლეობისათვის მიკუთვნებული შეღავათები და შეადგინოს სათანადო ინსტრუქციები;

დ) წინასწარ შეიმუშაოს იმ ღონისძიებათა გეგმა, რითაც შეიძლება ბრძოლა გაეწიოს და წინასწარ თავიდან აცილებულ იქნეს დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევები, და წარუდგინოს იგი შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს;

ე) განიხილოს სათემო თათბირების პროექტები, წინადადებანი და შუამდგომლობანი.

5. ყოველი თემის აღმასკომთან მოეწყობა, თემის აღმასკომის თავმჯდომარისა ან იმავე აღმასკომის წევრის თავმჯდომარეობით, სათემო სადასაზღვეო თათბირი. ამ თათბირში დამზღვევი აგენტის მონაწილეობა სავალდებულოა.

ზემოაღნიშნულ პირებს გარდა, თათბირის შედგენილობაში შევლენ: აგრონომი და ექიმი-ვეტერინარი (უკეთუ უწყებულ თემს ისინი ჰყავს) და აგრეთ-

3. Заседаниям Совещания ведется журнал, куда заносятся постановления по всем вопросам, вносимым на обсуждение Совещания.

*Примечание.* Члены Совещания, несогласные с постановлением Совещания, представляют в 3-х дневный срок в письменной форме свое особое мнение, или же на самом Совещании требуют внесения такового в журнал заседания.

4. На Уездное Страховое Совещание возлагается:

а) внесение через республиканскую Страховую Контору на рассмотрение Страхового Совета всякого рода предположений и проектов по вопросам обязательного страхования;

б) рассмотрение проектов окладных норм (страховых сумм) по обязательному страхованию, с учетом местных хозяйственных особенностей и пожеланий, выраженных в докладах Темских Страховых Совещаний;

в) разверстка льгот, представленных населению планом обязательного окладного страхования и составление соответствующих инструкций;

г) предварительная разработка плана мероприятий по борьбе и предупреждению случаев, предусмотренных страхованием и представление такового в НКВнудел и Наркомзем;

д) рассмотрение проектов, ходатайств и предположений Темских Совещаний.

5. При каждом Темском Исполнительном Комитете образовать, под председательством Председателя или Члена Исполнительного Комитета, Темское страховое Совещание при обязательном участии местного страхового агента.

Кроме перечисленных лиц в состав совещания входят: агроном и ветеринарный врач, если таковые имеются в данном теми, а также представители сельско-хозяйственной кооперации и Комитета Взаимопомощи.

6. Темское Страховое Совещание созывается, мо мере надобности, по распоряжению Председателя или страхового агента через местный Исполком.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და საურთიერთო დახმარების კომიტეტის წარმომადგენელნი;

6. სათემო სადასაზღვეო თათბირი მოიწვევა, საჭიროებისადა მიხედვით, თავმჯდომარის ან დამზღვევი აგენტის განკარგულებით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

7. თათბირის სხდომისათვის შედგენილ იქნება ჟურნალი, სადაც ჩაიწერება თათბირის დადგენილებანი ყოველი მის მიერ განხილული საკითხის გამო.

> **შენიშვნა.** უკეთუ თათბირის ესა თუ ის წევრი თათბირის დადგენილების თანახმა არ იქნება, მან თავისი განსაკუთრებული აზრი წერილობით უნდა წარადგინოს სამი დღის განმავლობაში ან იქვე, სხდომაზე უნდა მოითხოვოს ამ აზრის სხდომის ჟურნალში შეტანა.

8. სათემო თათბირს დაეკისრება:

ა) შეიტანოს თემის აღმასრულებელ კომიტეტში ან სამაზრო სადასაზღვეო თათბირში — კუთვნილებისამებრ-წინასწარი განხილვისათვის ყოველგვარი წინადადება და პროექტი სასოფლო საგადანაკვეთო დაზღვევის საკითხების შესახებ;

ბ) განიხილოს საკითხები იმ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რითაც შეიძლება ბრძოლა გაეწიოს და წინასწარ თავიდან აცილებულ იქნეს დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევები;

გ) ხელი შეუწყოს ხანძრის მქრობელ მოხალისეთა ორგანიზაციების განვითარებას და აგრეთვე იმ კოოპერატიულ ამხანაგობათა მოწყობის საქმეს, რომელთა მიზანია ცეცხლისმძლე შენობების აგება;

დ) შეადგინოს მოხსენებანი სამაზრო სადასაზღვეო თათბირისათვის დამზღვევ რწმუნებულების მიერ შეტანილ წინადადების შესახებ;

ე) მოისმინოს და განიხილოს ადგილობრივი დამზღვევი სააგენტოს საინფორმაციო მოხსენებანი და ანგარიშები;

ვ) გააცნოს მოსახლეობას, განცხადებების გამოკვრით და სოფლის ყრილობებზე ახსნა-განმარტების საშუალებით, სახელმწიფო დაზღვევის შესახებ გაცემული ყველა განკარგულება და განახორციელოს იგი;

7. Заседаниям Совещания ведется журнал, куда заносятся постановления по всем вопросам, вносимым на обсуждение Совещания.

> *Примечание.* Члены Совещания, несогласные с постановлением Совещания, представляют в 3-х дневный срок в письменной форме свое мнение, или же на самом Совещании требуют внесения таковового в журнал заседания.

8. На Темское Страховое Совещание возлагается:

а) внесение в Темские Исполнительные Комитеты или в Уездные Страховые Совещания, по принадлежности, для предварительного рассмотрения всякаго рода предположений и проектов по вопросам сельского окладного страхования;

б) рассмотрение вопросов по осуществлению мер борьбы и предупреждению случаев, предусматриваемых страхованием;

в) содействие развитию добровольных пожарных организаций и образование кооперативных товариществ по огнестойкому строительству;

г) составление докладов Уездному Страховому Совещанию по пожеланиям, внесенным страховыми уполномоченными;

д) заслушание и обсуждение осведомительных отчетов и докладов местного страхового агентства;

е) ознакомление населения путем расклейки об'явлений и раз'яснений на сходах со всеми распоряжениями о государственном страховании и проведение таковых в жизнь;

ж) содействие страховому агенту по проведению в жизнь возложенных на него заданий;

з) принятие мер к своевременному и безнедоимочному взиманию страховых сборов;

и) срочное сообщение о случаях градобития и появления эпизоотий.

9. Для установления теснейшей связи органов государственного страхования с широкими крестьянскими массами, каждое селение с количеством не менее 100 дворов, избирает

ზ) ხელი შეუწყოს დამზღვევ აგენტს დაკისრებული მოვალეობის ასრულებაში;

ი) მიიღოს ღონისძიება სადასაზღვეო გადასახადის თავის დროზე და უნარჩენოდ აკრეფისათვის;

კ) დაუყოვნებლივ აცნობოს დამზღვევ ორგანოებს ამა თუ იმ რაიონში სეტყვის მოსვლა და ეპიზოოტიის გაჩენა.

9. რათა გლეხობის ფართო მასები მჭიდროდ დაუკავშირდნენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს, თვითეული სოფელი, სადაც მოსახლეობა 100 კომლზე ნაკლები არ არის, აირჩევს საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დამზღვევ რწმუნებულს.

**შენიშვნა**. ის სოფლები, სადაც მოსახლეობა 100 კომლზე ნაკლებია, დამზღვევ რწმუნებულის ასარჩევად ერთ ყრილობად გაერთიანდებიან.

10. დამზღვევ რწმუნებულს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლებთან ერთად: დასაზღვევი ქონების რეგისტრაციასა და შეფასებაში, თემის საბჭოს მიერ ცალკე დამაზღვეველთა შორის შეღავათების განაწილებაში და აგრეთვე ყველა სახის სასოფლო საგადანაკვეთო და დამატებითი სანებაყოფლო დაზღვევის ზარალის განსაზღვრაში; ხოლო დამზღვევ რწმუნებულის დაუსწრებლობა ვერ შეაჩერებს სახელმწიფო დაზღვევის წარზომადგენლის მუშაობას ზარალის გამოსარკვევად;

ბ) გაეცნოს სახელმწიფო დაზღვევის სააგენტოს დოკუმენტებს, რაც ქონების რეგისტრაციასა და შეფასებას შეეხება, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სწორედ არის გამოანგარიშებული თვითეულ დაზღვეულზე სადასაზღვეო გადასახადი, ზარალის ანაზღაურების სასყიდელი და სხვა ანგარიში.

11. აღნიშნულ უფლებათა განხორციელების დროს დამზღვევი რწმუნებული არ უნდა ჩაერიოს დამზღვევი აგენტისა და მის მიერ დანიშნულ გადასახადის ამკრეფთა საოპერაციო მუშაობაში. შენიშნულ დაუდევრობასა და უწესრიგობას დამზღვევი რწმუნებული აცნობებს თემის აღმასკომს და დამზღვევ აგენტს. ხოლო ამ უკანასკნელის უკანონო მოქმედებას იგი შეატყობინებს სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანოს.

на общем собрании (сходе) страхового уполномоченного.

*Примечание*. Селения, с количеством дворов менее 100, об,единяются для избрания страхового уполномоченного в один сход.

10. Страховому уполномоченному предоставляется:

а) принятие участия совместно с представителями Госстраха в регистрации и оценке страхуемого имущества, в распределении Темскими Советами льгот между отдельными страхователями, а равно в определении размера страховых убытков по всем видам сельского окладного и дополнительного к нему добровольного страхования; однако, отсутствие страхового уполномоченного не приостанавливает работы представителя Госстраха по определению убытков;

б) право ознакомления с документами Агентства Госстраха по регистрации и оценке имущества для проверки правильности расчета по начислению окладов, правильности расчета по исчислению страхового вознаграждения и других расчетов.

11. При осуществлении представленных прав, страховой уполномоченный не должен вмешиваться в оперативную работу страховых агентов и назначаемых последними сборщиков по сбору страховых платежей. О замеченных непорядках и упущениях страховой уполномоченный доводит до сведения Темского Исполн. Комит. и страхового агента, а о неправильных действиях страховых агентов сообщает подлежащим органам Госстраха.

12. Применение установленных планом окладного страхования льгот для населения производится в зависимости от хозяйственной мощи и других обязательств, влияющих на платежеспособность крестьянского населения нижеследующим порядком:

а) распределение льгот на территории отдельных уездов в пределах, установленных для каждого уезда СНК ССРГ, производится подлежащими Страховыми Совещаниями, которые вырабатывают также и ин-

12. სავალდებულო დაზღვევის გეგმით მოსახლეობისათვის დაწესებული შეღავათები შეფარდებულ იქნეს ამა თუ იმ რაიონის მეურნეობის ძალღონისა და სხვა პირობების მიხედვით, რასაც გავლენა აქვს მოსახლეობის გადამხდელობის უნარიანობაზე. შეღავათების შეფარდება მოხდება შემდეგი წესით:

ა) შეღავათებს ცალკე მაზრის ტერიტორიაზე გაანაწილებს სათანადო სადასაზღვეო თათბირი იმ ფარგლებში, რასაც თვითეული მაზრისათვის დააწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო. იგივე სადასაზღვეო თათბირი შეიმუშავებს აგრეთვე ინსტრუქციას შეღავათების განაწილებისა და შეფარდების წესის შესახებ;

ბ) შეღავათებს თემის ფარგლებში გაანაწილებს სათანადო სადაზღვეო თათბირი წინა პუნქტში გათვალისწინებული ინსტრუქციის თანახმად;

გ) შეღავათებს ცალკე დამაზღვეველთა შორის გაანაწილებს სათანადო დამზღვევი რწმუნებული დამზღვევ აგენტთან ერთად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
**შ. ელიავა**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
**ალ. სალარიძე**

1926 წ. სექტემბრის 14.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-222 №-ში 1926 წ. სექტემბრის 30; ც. ა. კ-ის და ს. კ. ს-ის „მოამბის" 1926 წ. მე-13—14 №-ში.

струкции о порядке разверстки и применения этих льгот;

б) распределение льгот в пределах теми производится подлежащими Страховыми Совещаниями на основании указанных в предыдущем пункте инструкций;

в) распределение льгот между отдельными страхователями произвдится подлежащими страховыми уполномоченными совместно с страховыми агентами.

Председатель Совета Народных Комис. ССР Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Народных Комиссаров ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. сентября 14.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 222 от 30 сентября 1926 г.; в „Моамбэ" ВЦИК и СНК 1926 г. № 13—14.

---

## 120. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის თაობაზე 1926 წლ. ოქტომბრის 7-ის თარიღით და 33 ნომრით გამოცემული დადგენილების შეცვლისა და შევსების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ-

## 120. Постановление

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**Об изменении и дополнении постановления № 33 от 7 октября 1924 года „О замене специальных удостоверений членскими билетами профессиональных союзов".**

Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Постановление Совета Народных Комиссаров ССР Грузии от 7-го ок-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ოქტომბრის 7-ის თარიღისა და 33 №-რის დადგენილებას „სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით შეცვლის შესახებ“—ეწოდოს: „დადგენილება სპეციალური მოწმობების პროფესიონალურ კავშირთა საწევრო ბილეთებით და საწარმოთა საანგარიშო წიგნაკებით შეცვლის შესახებ“.

2. პირველი მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად: „იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა-მოსამსახურეს უნდა მიეცეს კანონით მუშა-მოსამსახურეთათვის დაწესებული ესა თუ ის შეღავათი, ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე კერძო პირი მოვალეა დამადასტურებელ დოკუმენტად მიიღოს პროფესიუნალური კავშირის საწევრო ბილეთი ან საწარმოს საანგარიშო წიგნაკი“.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ოქტომბრის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-228 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 7.

тября 1924 г. за № 33 „О замене специальных удостоверений членскими билетами профессиональных союзов“—озаглавить: „О замене специальных удостоверений членскими билетами профессиональных союзов и расчетными книжками предприятий“.

2. Статью первую изложить в нижеследующем виде:

„Во всех случаях получения рабочими и служащими тех или иных льгот, предоставляемых им законом, все государственные, общественные и частные учреждения и предприятия, а также частные лица обязаны принимать в качестве удостоверяющих документов членский билет профессионального союза или же расчетную книжку предприятия“.

Председатель Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Народ. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *А. Саларидзе.*

1926 г. октября 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газете „Коммунист“ № 228 от 7 октября 1926 г.

---

## 121. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**წიაღის სარგებლობისათვის სასყიდლის უდაო წესით გადახდევინების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის ივლისის 13-ს დადგენილებით („სსრკ ცენ. აღმ. კომ. და სახ. კომ. საბჭოს ვესტნიკი“ 1923 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 19) დამტკიცებული „მიწის წიაღისა და მისი შემუშავების დებულებით“ გათვალისწინებული სასყიდელი წიაღის სარგებლობისათვის, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფოს ბიუ-

## 121. Постановление

**Совета Народных Комиссаров ССР Грузии**

**Об установлении бесспорного порядка взыскания платежей за пользование недрами.**

Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

Взыскание предусмотренных „Положением о недрах земли и разработке их“, утвержденным постановлением ЦИК'а СССР от 13-го июля 1923 года („Вестн. ЦИК и СНК СССР“ 1923 г. № 1 ст. 19), платежей за пользование недрами, поступающих в государственный бюджет

ჯიტში და ადგილობრივ ბიუჯეტში შეიტანება,—გადახდევინებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ —კუთვნილებისამებრ—გადასახადთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული წესით (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518), უკეთუ ამ სასყიდელს სათანადო მთამადნის მრეწველი არ წარადგენს იმ ვადაზე, რაც დადგენილია სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წ. იანვრის 2-ს თარიღით გამოცემული ინსტრუქციით-წიაღის სარგებლობისათვის სასყიდლის გადახდევინების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჟუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ოქტომბრის 23.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს მე-1324 №-ში 1926 წ. ნოემბრის 10.

ССР Грузии и в местные бюджеты, в случае невзноса подлежащими горнопромышленниками указанных платежей в сроки, установленные изданной Высшим Советом Народного Хозяйства и Народным Комиссариатом Финансов СССР инструкцией о порядке взимания платы за пользование недрами от 2-го января 1924 г., производится Народным Комиссариатом Финансов ССР Грузии и местными финансовыми органами, по принадлежности, в порядке, предусмотренном Положением о взимании налогов (С. Зак. СССР 1925 г. № 70, ст. 518).

Зам. Председ. Сов Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управляющий Делами Совета Нар. Комис. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. октября 23.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Заря Востока“ № 1324 от 10 ноября 1926 г.

---

## 122. დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

### იმ ადგილების კატეგორიების დაწესების შესახებ, სადაც რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე შეიძლება გადახდევინებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. აგვისტოს 9-ს დამტკიცებული (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) ადგილობრივი ფინანსების დებულების 33 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რკინის გზით და წყალსავალი

## 122. Постановление

### Совета Народных Комиссаров ССР Грузии

### Об установлении категорий пунктов, в которых допускается взимание местного налога с грузов, привозимых и вывозимых по железнодорожным и водным путям сообщения.

На основании примечания первого к ст. 33 Положения о Местных Финансах, утвержденного Закавказским Центральным Исполнительным Комитетом и Советом Народных Комиссаров ЗСФСР 9-го августа 1926 года (С. Уз. ЗСФСР 1926 года № 8, ст. 697), Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляет:

1. С грузов, привозимых и вывозимых по железнодорожным и водным путям сообщения, может быть

გზით შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე შეიძლება დაწესებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადი ქვემო-აღნიშნული კატეგორიის რკინის გზის სადგურზე, ნავთსადგურზე ან პორტში:

ა) რომელიც მდებარეობს ქალაქში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილას;

ბ) რომელიც, თუმცა უშუალოდ ქალაქსა და ქალაქის ტიპის ადგილას არ მდებარეობს, მაგრამ მომსახურეობას უწევს ქალაქსა ან ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილს;

გ) რომელიც მდებარეობს საქარხნო-საფაბრიკო და სავაჭრო-სამრეწველო რაიონში;

დ) რომელიც თუმცა უშუალოდ საქარხნო-საფაბრიკო და სავაჭრო-სამრეწველო რაიონის ფარგალში არ მდებარეობს, მაგრამ ზედ აკრავს და მომსახურეობას უწევს ასეთ რაიონს;

ე) რომელიც მდებარეობს ისეთ რაიონში, სადაც სასოფლო სამეურნეო მრეწველობა განვითარებულია.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. თანახმად აღმასკომების მიერ შედგენილ რკინის გზის სადგურებისა, ნავთსადგურებისა და პორტების სიას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი.

3. გადასახადის გადახდევინებას აწარმოებენ რკინის გზის სადგურისა, ნავთსადგურისა და პორტის აგენტები.

გადასახადის დაწესების საკითხისა და მისი განხორციელების წესისა, აგრეთვე გადასახადის გადამხდევინებელი სატრანსპორტო ორგანიზაციებისათვის სასყიდლის რაოდენობისა და მიცემის წესის შესახებ ადგილობრივი აღმასკომები დასდებენ წერილობითი შეთანხმებას სათანადო რკინის გზისა, ნავთსადგურისა ან პორტის სამმართველოსთან.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის 1926 წ. ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ოქტომბრის 25.
ტფილისი - სასახლე.

установлен местный налог, взимаемый на железнодарожных станциях, пристанях или в портах следующих категорий:

а) расположенных в городах и населенных пунктах городского типа;

б) в иных пунктах, хотя и не расположенных непосредственно в городах и населенных пунктах городского типа, но обслуживающих таковые;

в) расположенных в фабрично-заводских и торгово-промышленных районах;

г) в иных пунктах, хотя и не расположенных в пределах фабрично-заводского или торгово-промышленного района, но прилегающих к ним и обслуживающих эти районы;

д) расположенных в районах с развитой сельско-хозяйственной промышленностью.

2. Выработанные Уездными Исполкомами на основаниях, указанных в ст. 1 настоящего Постановления, списки железнодорожных станций, пристаней и портов утверждаются Народным Комиссаром Финансов ССР Грузии.

3. Взимание налога производится агентами железподорожных станций, пристаней и портов.

Местные Исполкомы по вопросу об установлении налога, порядке проведения его в жизнь, а равно размере и порядке оплаты транспортных организаций, взимающих налог, заключают письменные соглашения с Управлениями подлежащих железных дорог, пристаней или портов.

4. Настоящее постановление вступает в силу с 1-го октября 1926 г.

Зам. председателя Совета Народных Комис. ССР Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. ССР Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г октября 25.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 123. დადგენილება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**იმ საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ, რომლებიც ქალაქ ტფილისში დაწესებულებებს უჭირავთ.**

დაწესებულებების მიერ ქალაქ ტფილისში დაჭერილი საცხოვრებელი სადგომების ქირის მოსაწესრიგებლად -- საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 ქირა გამოიანგარიშება მხოლოდ იმ გამოსაყენებელი საცხოვრებელი სივრცის მიხედვით, რაც დაწესებულებას უჭირავს (სამზარეულო, წინა მისავალი ოთახი, დერეფანი, საბანაო ოთახი და სხვ. სათვალავში არ მიიღება).

2. სადგომის ქირის განაკვეთი განისაზღვრება თითო კვადრატულ მეტრზე თვიურად.

3. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება თითო კვადრატულ მეტრზე იხდის 50 კაპ. თვიურად.

4. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულება და აგრეთვე ის კერძო დაწესებულება და საზოგადოება, რომელიც კომერციულ მიზანს არ მისდევს, ქირას იხდის სახლის სამოურავოსთან შეთანხმებით, ხოლო არა ნაკლებ 50 კაპ. და არა უმეტეს ერთი მანეთისა თითო კვადრატულ მეტრზე თვიურად.

შენიშვნა. ის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, ხოლო მიზნად მოგების მიღება არა აქვს და განახორციელებს მარტოოდენ სახელმწიფო გამგებლობის ორგანოს ფუნქციებს, ქირას სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების თანაბრად გადაიხდის.

5. პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაცია ქირას სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულების განაკვეთით გადაიხდის, ხოლო კოოპერატიული ორგანიზაცია —სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულების განაკვეთით.

6. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულება

## 123. Постановление

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии**

**О наемной плате за жилые помещения, занимаемые под учреждениями в гор. Тифлисе.**

В целях урегулирования платы за жилые помещения, занимаемые под учреждения в гор. Тифлисе, Совет Народных Комиссаров Соц. Совет. Республики Грузии постановляет:

1. Наемная плата исчисляется лишь с полезной площади жилого помещения, занимаемого под учреждения (кухня, передняя, корридор, ванная и т. п. в расчет не принимаются).

2. Ставки платы за помещение устанавливаются с одного квадратного метра в месяц.

3. Учреждения, находящиеся на государственном и местном бюджете, платят по 50 коп. за каждый квадр. метр в месяц.

4. Государственные учреждения, состоящие на хозяйственном расчете, а также не преследующие коммерческих целей частные учреждения и общества платят по соглашению с домоуправлениями, но не ниже 50 к. и не свыше одного рубля за каждый кв. метр. в месяц.

*Примечание.* Государственные учреждения, состоящие на хозяйственном расчете, но не имеющие своей целью получение прибыли, а осуществляющие лишь функции органов государственного управления, платят наравне с учреждениями, состоящими на государственном бюджете.

5. Партийные и профессиональные организации платят по ставке государственных учреждений, состоящих на государственном бюджете, а кооперативные организации—по ставке государственных учреждений, находящихся на хозяйственном расчете.

6. Учреждения Народного Комиссариата по военным и морским делам платят по 35 коп. за каждый квадр. метр в месяц.

ქირას თითო კვადრატ. მეტრზე 35 კაპ. ანგარიშით გადაიხდის თვიურად.

7. ზემოაღნიშნული განაკვეთებით სადგომის ქირა განსაზღვრულია მარტოოდენ იმ სივრცისათვის, რაც დაწესებულებას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხლით დაწესებული ნორმის ფარგალში უჭირავს; ზედმეტი სივრცისათვის, რაც დაწესებულებას ნორმის გარეშე უჭირავს, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ერთი-ორად.

8. დადგენილება ესე არ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც საცხოვრებელი სადგომი დაჭერილია აღნიშნულ დაწესებულებების მიერ სავაჭრო კონტორისათვის, კომერციული სააგენტოსათვის, ფაბრიკისათვის, ქარხნისათვის, საწყობ სათვის, მაღაზიისათვის და სხვ. იმისთ. ამ შემთხვევაში ქირა განისაზღვრება სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით.

9 დადგენილება ესე ძალაში შედის 1926 წლის ოქტომბრის 1-დან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. ოქტომბრის 26.
ტფილისი—სასახლე.

7. Наемная плата по вышеозначенным ставкам устанавливается лишь за площадь, занимаемую в пределах нормы, определяемой ст. 9 декрета ЦИК'а и Совнаркома ССРГ от 26 сентября 1923 года; излишек площади, занимаемой учреждением сверх нормы, оплачивается в двойном размере.

8. Настоящее постановление не распространяется на случаи, когда жилые помещения заняты указанными учреждениями под торговые конторы, коммерческие агентства, фабрики, заводы, складочные помещения, магазины и т. п. В этих случаях наемная плата устанавливается по соглашению с домоуправлениями.

9. Настоящее постановление вступает в силу с 1-го октября 1926 г.

Зам. Председателя Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии *С. Джугели.*

Управл. Делами Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1926 г. октября 26.
Тифлис—Дворец.

Главлит № 162 Заказ № 817. Тираж—1500.
3-я типография Полиграфтреста ВСНХ Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე კერძო პირთა და სხვ.

# საყურადღებოდ.

საქ. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა

## აცხადებს ხელის მოწერას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულზე 1927 წლისათვის

ხელისმომწერის ფასი ამა წლის პირველი ნახევრისა . . . . 2 მ. 25 კაპ.

საქ. ს. ს. რესპ. იუსტ. სახ. კომისარიატის გამომცემლობას საწყობში აქვს:

1. საქ. ს. ს. რესპ. კონსტიტუცია საუკეთესო ქაღალდზე, ქართულ ენაზე . . 40 კ.
2. „ „ „ „ „ რუსულ „ . . 40 კ.
3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წლისა ქართულ ენაზე, კომპლექტი 1 მ. 20 კ.
4. „ „ „ „ „ „ 1924 წლისა ქართულ და რუსულ ენაზე 2 მ. —
5. „ „ „ „ „ „ 1925 წლისა „ „ „ „ 1 მ. 50 კ.
6. „ „ „ „ „ „ 1926 წლისა „ „ „ „ 3 მ. 10 კ.
7. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი, რუსულ ენაზე . . . . . . . 45 კ.
8. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა. ქართულ ენაზე 1 მ. 65 კ.
9. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე . . . . . . . . . . 60 კ.
10. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ქართულ ენაზე . . . 45 კ.
11. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე . . . 25 კ.

იბეჭდება და გამოვა საქ. ს.ს.რ. **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი** როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე—ცვლილებითა და დამატებით 1927 წ. იანვრის 1-მდე.

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლია მიაწოდოს მსურველთ რ.ს.ფ.ს.რ. და უკრ. ს. რ. რესპ,. იურიდიული ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა.

ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამომცემლობა ასრულებს დაუყოვნებლივ ფოსტით ფულის მიღების უმალვე ან და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.

**შეკვეთით უნდა მიმართონ:** ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32,
იუსტ. სახ. კომის. გამომცემლობას.

# К СВЕДЕНИЮ

## ГОСУДАРСТВЕННЫХ, ОБЩЕСТВЕННЫХ, КООПЕРАТИВНЫХ И ЧАСТНЫХ УЧРЕЖДЕНИЙ И ПРЕДПРИЯТИЙ, А ТАКЖЕ ЧАСТНЫХ ЛИЦ.

**Издательство Народного Комиссариата Юстиции ССР Грузии**

**Об'являет подписку на**

„Собр. Узак. и Распор. Р-К Пр-ва ССРГ" за 1927 г.

Подписная плата за первую половину года . . . . . . . 2 р. 25 к.

На складах Издательства НКЮ ССРГ имеются:

**Наименование изданий:**

1. Конституция ССРГ, на лучшей бумаге, на груз. яз. . . . . . . . . 40 к.
2. „ „ „ „ „ „ рус. „ . . . . . . . . 40 „
3. „Собр. Узак. и Расп. Р-К. Пр-ва ССРГ" за 1923 г., на гр. яз. (компл.) 1 р. 20 „
4. „ „ „ „ „ „ за 1924 г., на гр. и рус. яз. 2 „
5. „ „ „ „ „ „ „ 1925 г., „ „ „ . . . 1 „ 50 „
6. „ „ „ „ „ „ „ 1926 г., „ „ „ (комп.) 3 „ 10 „
7. Уголовный Кодекс ССРГ, на русск. яз. . . . . . . . . . . . . 45 „
8. Гражданский Процесс. Руководство. С. Джапаридзе. На гр. яз. . . . 1 „ 65 „
9. Гражданский Кодекс ССРГ, на гр. яз. . . . . . . . . . . . . 60 „
10. Гражданский Процессуальный Кодекс ССРГ, на груз. яз. . . . . 45 „
11. Положение о Судоустройстве ССРГ, на груз. яз. . . . . . . . . . 25 „

Печатанием кончается как на грузин. так и на русск. языках Уголовно-Процессуальный Кодекс ССРГ, с изменениями и дополнениями по 1 января 1927 года.

Кроме этого издательство предлагает все новинки Юридической литературы как РСФСР, так и УССР.

Требования о высылке С. У., Кодексов, а также Юрид. литературы немедленно выполняются по получении либо перевода денег, либо зявки о высылке наложенным платежом.

**Заказы адресовать:** Тифлис, ул. Трибунала 32, Издательству НКЮ ССРГ.